619
1980

ISSN 0130-1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა








# დროშა

სექტემბერი
№ 9 1980 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე იწყება სამუშაო დღე.

დიდ წარმატებას აღწევს თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ამწყობ-შემდუღებელი კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქალაქო საბჭოს დეპუტატი ამირან გელაშვილი.



ა. გელაშვილი თავისი ბრიგადის ახალგაზრდა წევრებთან

დეპუტატი მოვიდა მშენებლობაზე



სერგო ედიშერაშვილის ფოტო



ალმა-ათა. სადღესასწაულო ტრიბუნაზე.

# ზეიმი ყაზახეთის მიწაზე

ჩვენმა სამშობლომ აღნიშნა მოძმე ყაზახეთის სახალხო დღესასწაული — ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავი.

საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ყაზახეთი მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა. აშენდა ახალი ქალაქები და სოფლები, შეიქმნა მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი კერები; არნახულ აღმავლობას მიაღწია მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა.

სადღესასწაულოდ მორთულა ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი ალმა-ათა.

საყოველთაო-სახალხო ზეიმი განსაკუთრებულად ამაღლებული გახადა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის იქ ყოფნამ.

30 აგვისტოს 12 საათია. ცენტრალურ ტრიბუნაზე ადის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. მასთან ერთად არიან ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, პ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე. ტრიბუნაზე არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ნ. იმაშევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. აშიმოვი, რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელები.

ტრიბუნის წინ მწყობრი ნაბიჯით მიემართებიან სამხედრო პარადის მონაწილეები, მშრომელთა დემონსტრაციის კოლონები.

მოედანზე გამოჩნდა ყამირის ათვისების ამსახველი სურათები. ეს გმირული ეპოპეა განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უდიდეს ორგანიზატორულ საქმიანობასთან, ყაზახეთში მის მრავალმხრივ მოღვაწეობასთან.

დღესასწაულმა ერთხელ კიდევ ცხადყო პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა.

ყაზახეთის მშრომელები ემზადებიან რა სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად, ვალდებულებებს კისრულობენ, კიდევ უფრო მაღლა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, იშრომონ დამკვრელურად, ახალი წარმატებებით ასახელონ სამშობლო.

16.408

იოსებ ნონეშვილი

## ციკლიდან „ყაზახეთის ველებზე"

### რამ დამავიწყოს...

ნურხუტა ურუნბასაროვსა და ლუკბან ქუმაბაევს.

რამ დამავიწყოს ეს მიწა, ეს მზე,
განახლებული ყაზახისტანი.
თქვენი ველები და ქურან ცხენზე
დალალდაყრილი ყაზახის ტანი.
თქვენი ახონი, საბალახონი,
ველის საიგა, ჯიხვებრ თამამი,
ეგ სიმღერები, გულთან ახლონი,
თქვენი გულივით ფართო ტრამალი.
ველები სიცხით გადაბუგული,
ხალხი მშრომელი, ხალხი ლომგული,
თქვენი ჯამბული — ბერი ბულბული,
თქვენი დომბრა და ჩვენი ჩონგური.
შორს ალა-თაუს მთათა კრებული,
მხრებზე რომ ხურავთ თოვლის საბანი,
და იმ მთებივით განათებული,
ჩაფიქრებული დიდი აბაი.
მახსოვს — ბინდისას კურდღელს ვესროლეთ,
მდინარის პირზე თასიც ავწიეთ,
ჩალის შრიალში ოდნავ გვესმოდა,
რა ყოფა ჰქონდათ ველის არწივებს.
რა დამავიწყებს ამ ვრცელ ტაშირსა,
მწვანე ოაზისს და ლურჯ ნაკადულს
და ალმა-ათას — მამას ვაშლისას,
ვაშლის ბაღებში ყალმით ჩახატულს.
მიყვარს ველები — ჭრელი ხალათი,
ჯიგიტი სრბოლით განახელები,
და ყარაგანდის — შავი ქალაქის
თეთრად ნაგები სასახლეები.
გადაწინწკლული ზეცის ფიქალი,
ალაგ ბორცვები, ალაგ მინდორი,
უდაბნოები — ცხელი გრიგალის
და ამან-გელდის საჯირითონი.
ყველა კარგია... მაგრამ სხვაც არის,
ძმებო, ძვირფასი და დიდებული.
მომაგონდება დიდი ლაშქარი,
ყამირ მიწასთან დაჭიდებული.
მწვანე ყამირზე შავი ტრაქტორი
ხნულის არშიით ველს რომ მოსავდა.
რა დამავიწყებს, როგორ ვნატრობდით
ნაყამირალზე პირველ მოსავალს.
ველები, თავთავამონვდილები,
გვეჩვენებოდა მალე სხვაგვარად.
ხშირად ვსინჯავდით ხორბალს კბილებით,
გაგვეგო — მკის დრო ხომ არ დამდგარა.
მახსოვს, დაადგით ხიდი ხობდის წყალს,
კომბაინებით ხიდზე გახველით.
რამ დამავიწყოს მთები ხორბლისა
და ხორბლისფერი თქვენი სახენი.
როცა დავტოვებ, ძმებო, ამ ველებს,
ამ რუხ ხრიოკებს, ამ მთებს ახოვანს,
მე ნაყამირალ პირველ თაველებს
წავიღებ, როგორც ძვირფას სახსოვარს.

კ. მარქსის სახ. სახ.

# შრომა, ცოდნა და სიმართლე გწამდეს — ესაა მთავარი!



ოთარ ქინქლაძე,

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

## მოსწავლეებზე ზრუნვით

ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის, ისევე როგორც გასულ წლებში, საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების მთელი სისტემა განსაკუთრებული მონდომებითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მოემზადა.

უწინარეს ყოვლისა, ეს გამოიხატა ჩვენი სკოლის ნივთიერი ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებით. მწყობრში ჩადგა ახალი სასკოლო შენობები კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებითა და სხვა დამხმარე სათავსოებით, ხოლო არსებული კი კაპიტალურად შეკეთდა; კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით, რაც დიდად შეუწყობს ხელს ცოდნის შეთვისების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას; თითოეული მოსწავლე დროულად იყო უზრუნველყოფილი სასწავლო ნივთებით; სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შრომითი კოლექტივების აქტიური, ქმედითი მონაწილეობით ბევრი რამ გაკეთდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გასაუმჯობესებლად და ა. შ. საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი პედაგოგიური დახელოვნებისათვის გაწეულ ნაყოფიერ მუშაობას, რამაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სწავლებისა და სწავლის ხარისხის შემდგომ არსებით გაუმჯობესებაში.

ყოველი ახალი სასწავლო წელი, ბუნებრივია, ძველის თავისებური გამეორებაც არის და, ამავე დროს, დატვირთულიც ახალი ამოცანებით, საფიქრალით და საზრუნავით. ამ თვალსაზრისით, წლევანდელი წელი განსაკუთრებულად თავისებურია. იგი ხომ მეათე საიუბილეო ხუთწლედის დამაგვირგვინებელი და იმ საქმიანობის შემაჯამებელია, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა გასწიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ახალ სასწავლო წელს კვლავ რჩება ჩვენი სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული მოთხოვნა, რომ მოსწავლეებს „ვასწავლოთ სწავლა" და ჩავუნერგოთ მათ ცოდნის დამოუკიდებლად შევსების, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირების უნარი.

სწავლებასა და სწავლის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის ზრუნვა აუცილებელია მჭიდროდ დავუკავშიროთ მომთხოვნელობის კიდევ უფრო გაზრდას, ცოდნის შემოწმებისა და შეფასების პრაქტიკაში ლიბერალიზმის, სუბიექტივიზმისა და სასკოლო ცხოვრების სხვა ნეგატიური მოვლენების საბოლოოდ დაძლევას, სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის ამაღლებას და იმ მოთხოვნების შესრულებისათვის განუხრელ ზრუნვას, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელ მიმართვაში მოსწავლე ახალგაზრდობის, მასწავლებლების, აღმზრდელების, დამრიგებლებისა და მშობლებისადმი.

ახალი 1980-1981 სასწავლო წლიდან საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები გადავიდნენ სწავლების სემესტრულ სისტემაზე. ნაცვლად ოთხი მეოთხედისა სასწავლო წელი ამიერიდან ორ სემესტრად იქნება დაყოფილი, რაც კიდევ უფრო სრულყოფს სწავლების პროცესის ორგანიზაციას, ხელს შეუწყობს მასწავლებლის შემოქმედებით სასწავლო საქმიანობას, ხელსაყრელ პირობებს შექმნის მოსწავლეთა ცოდნის მრავალჯერ და ობიექტურად შემოწმება-შეფასებისათვის, აგრეთვე სწავლაში ჩამორჩენილობისა და საერთოდ მეორეწლიანობის დაძლევისათვის, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის მოქმედების პირობებში.

საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების სისტემის მუშაკები მომავალზე ზრუნვით შთაგონებულნი დიდი შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად.



დავით ჩხიკვიშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი

## ახალგაზრდობა — ჩვენი მომავალი

დაიწყო ახალი სასწავლო წელი, ახალ მიღწევათა და წარმატებათა მაცნე. უმაღლესი სასწავლებლების მერხებს დაუბრუნდნენ მზეზე გარუჯული ჭაბუკები და ქალიშვილები — ყამირის გმირები, რომლებმაც ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში ოფლითა და გარჯით განამტკიცეს უფროს თაობათა შრომითი ტრადიციები.

ათასობით ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ გუშინ სასკოლო მერხს რომ უსხდა, ცოდნის უშრეტ წყაროს რომ ეწაფებოდა, სიამაყის გრძნობით შეაღო უმაღლესი სკოლის კარები, დანარჩენებმა კი სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანს მიაშურეს. დაიწყო სისხლსავსე ცხოვრება — ბეჯითი სწავლისა და შრომის, მეცნიერებათა მწვერვალებზე ასასვლელი ბილიკების დალაშქვრის ახალი წელი.

თავისი განვითარების გზაზე შემდგომი ნაბიჯი გადადგა რესპუბლიკის უმაღლესმა სკოლამ, რომელიც ამჯერადაც ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს. განმტკიცდა სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამაღლდა პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობა ახალი თაობის აღზრდის დარგში, გატარდა ბევრი ღონისძიება სწავლა-აღზრდის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახალი სასწავლო წელი ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ ვითარებაში დაიწყო. საბჭოთა ადამიანები წარმატებით შრომობენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ახალი გამარჯვებებით აღნიშვნისათვის და შრომითი წარმატებებით ეგებებიან მეთერთმეტე ხუთწლედის დასაწყისს — დიდი და ნათელი პერსპექტივების წელს. მთავრდება ისტორიული XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება და იწყება გაცხოველებული მზადება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები, რომლებიც გვავალებს გადაჭრით ავამაღლოთ ცოდნის დაუფლების დონე, ვეძიოთ ამისათვის ახალი ფორმები და გზები, გავზარდოთ ახალგაზრდობის სოციალური აქტიურობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით დაინტერესება, განვამტკიცოთ მისი ცხოვრებისეული პოზიცია. სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესების ორგანული კავშირის განმტკიცება, ლექციების ხარისხის არსებითად გაუმჯობესება, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება, კათედრებისა და ლაბორატორიების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაფართოება, ახალგაზრდობის დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება — აი, ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს იმ მოთხოვნათა უმაღლეს დონეზე შესრულებას, რომელთაც ჩვენს წინაშე სახავენ კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების დიდ და კეთილშობილურ საქმეს. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ლენინის დიადი საქმის ერთგული მებრძოლები, მაღალი შინაგანი დისციპლინით, პასუხისმგებლობის და მინდობილი საქმისადმი ერთგულების გრძნობით.

ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია, ჩვენი იმედია. მისი შემართება არ ეპუება არავითარ სიძნელეებს და ყოველთვის იქ არის, სადაც წყდება ჩვენი ხვალინდელი დღის საკითხი. კვლავაც დიდი წარმატებებით გესახელებინოთ, ძვირფასო მეგობრებო, სამშობლო. გახსოვდეთ ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის გალაკტიონის სიტყვები:

„შრომა, ცოდნა და სიმართლე, გწამდეს — ესაა მთავარი!".



სერგო რიგვავა,

საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

## საიმედო ცვლა

პროფესიულ-ტექნიკური განათლება საქართველოში დიდი მასშტაბით ვითარდება და სახალხო მეურნეობის დინამიურად განვითარებად მექანიზმში დღითიდღე მყარ პოზიციებს იკავებს.

გასული სასწავლო წელი ამ ტენდენციის ნათელი დადასტურებაა. სისტემის სასწავლო დაწესებულებებმა სამშობლოს მოუმზადეს ახალი შევსება — 30 ათასი კვალიფიცირებული მუშა, რომელთაც III რესპუბლიკურ შეკრებაზე ფიცი დადეს, გააგრძელონ ჩვენი მუშათა კლასის, საკოლმეურნეო გლეხობის სახელოვანი შრომითი ტრადიციები.

შარშან ბევრად დაიხვეწა სწავლა-აღზრდის პროცესი, კიდევ უფრო გამოიკვეთა ახალგაზრდობასთან მუშაობის ახალი ფორმები.

საინტერესოდ, შინაარსიანად ჩატარდა პროფესიული დაოსტატების კონკურსები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. პოეზიის მოყვარულთა პაექრობას კი მოჰყვა მოსწავლეთა ლექსების პირველი კრებული „მზესუმზირა". დიდხანს ემახსოვრებათ ახალგაზრდებს ფრიადოსანთა რესპუბლიკური შეკრება და კურსდამთავრებულთა ზეიმი, რომლებიც უკვე ტრადიციად იქცა.

რესპუბლიკის პროფტექგანათლების სისტემის თვითმოქმედი კოლექტივებისა და სპორტსმენთა დელეგაცია მონაწილეობდა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ მიმდინარე წლის ივლისში პროფტექგანათლების მუშაკებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ პროფტექგანათლების სისტემას რესპუბლიკაში დიდი მომავალი აქვს. ისეთნაირად დგება სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემები დღის წესრიგში, რომ მხოლოდ მაღალკვალიფიციურ მუშათა კლასს შეუძლია გადაწყვიტოს ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების საკითხები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში... ესოდენ მაღალი შეფასება ბევრს გვავალებს.

ჩვენს წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესასრულებლად ამჟამად ფართო სამზადისი მიმდინარეობს:

წელს გაიხსნება და პირველ ნაკადს მიიღებს 8 ახალი სასწავლებელი. აქ მშენებლის, მეღუმელის, ელექტროზეინკლის, სოფლის მეურნეობის მექანიზატორის და სხვა სპეციალობას დაეუფლება 60 ათასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი. მთლიანად კი 1980-81 წელს მომზადდება კადრები 20 ახალ სპეციალობაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრინციპული მხარდაჭერის შედეგად ბევრმა სამინისტრომ, უწყებამ, ორგანიზაციამ მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება საშეფო პროფტექსასწავლებლების მიმართ. წელს მარტო მათი ძალებით აშენდა და გაფართოვდა 23 სასწავლო-მატერიალური ბაზა 2340 მოსწავლისათვის, კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო 500 ათასი მანეთის ღირებულების ინვენტარ-მოწყობილობითა და ტექნიკური საშუალებებით.

გადახალისდა ინჟინერ-პედაგოგთა, ხელმძღვანელთა კადრები, [illegible] ახალ შევსებას. დიდი ღონისძიებები ტარდება ინჟინერ-პედაგოგიური კადრების პროფესიული დაოსტატების მიზნით.

1980-81 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებამ გვიჩვენა, რომ დიდი ცვლილებები განიცადა კონტინგენტის შემადგენლობამ. ნიშანდობლივია, რომ მათი 40 პროცენტი სწავლის ფრიადოსანი ან ოთხოსანია. სხვა ფაქტორებთან ერთად ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მთავრობის დადგენილებით პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების (როგორც საშუალო, ისე ტექნიკური სასწავლებლების) წარჩინებით კურსდამთავრებულებზე უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს ვრცელდება ის უპირატესობანი, რომლებიც მიღებულია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ოქროსმედალოსანთა ან საშუალო სპეციალური სასწავლებლების წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის.

სისტემის მრავალათასიან კოლექტივს შეგნებული აქვს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც მას ეკისრება ეროვნული აღმშენებლობის მეხაჭეთა აღზრდის საქმეში.

1980-1981 სასწავლო წელს ყველაფერს გავაკეთებთ იმ დიდებული ამოცანების განხორციელებისათვის, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედშია დასახული.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№9 (525). სექტემბერი, 1980

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1980 წ.

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.



მერგოლური ლუდა ბაკურაძე თავისი რგოლის წევრებთან.

# ჯუმათის სერიდან

თენგიზ გოგოლაძე,
„დროშის" სპეციალური კორესპონდენტი

ჩაის სიკეთეზე უამრავი რამ დაწერილა, მრავალი რამ თქმულა.

ეს დალოცვილი სასმელი მართლაც დიდებული რამ არის კაცის დასამშვიდებლად, გუნება-განწყობილების ასამაღლებლად. კეთილად მოგეფონება, დალევ და გახალისდები.

ჭიქა ჩაიზე ხშირად ვიკრიბებით ხოლმე მეზობლები. რასაკვირველია, ამას ყოველთვის წინ უძღვის განსაკუთრებული მზადება, ზოგჯერ ფართო მასშტაბითაც. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ დროს გამოჩნდებიან ჩაის დაყენების ოსტატები. არის ბჭობა და შეჯიბრი, რომელი მეზობელი უკეთ აყენებს ჩაის, ვისთან უკეთესად დაყენებული ჩაი მივირთვით.

ოჯახი არ მეგულება, რომ დილით ვილაცას სამსახურში არ ეჩქარებოდეს, ან ვინმე სასწავლებელში არ გარბოდეს! სიჩქარეში ზეზეურად გადაჰკრავენ ჭიქა ჩაის... რის ფერი, რა სურნელი, რის დაყენების ტექნოლოგია!.. ცხელი წყალი ხომ შეფერადდა! გადაჰკრავ და გარბიხარ საქმეზე... ასეთი ჩაი გინდა დაგილევია, გინდა არა,

ზოგჯერ ჩაიზე შემოგესწრება ვინმე, დაფაცურდები, რათა ახალი ჩაი დააყენო, სტუმართან თავი არ შეირცხვინო, ეს რა უგემური ჩაი დამალევინაო.

კეთილ სასმელს კეთილი გამოყენებაც უნდა. მართლაც, თუ სიამოვნებით დაიგემოვნებ, მისი სურნელებით დაიბანგები და ნეტარებით შეიტკბობ ყველა მის სიკეთეს, დედის რძესავით შეგერგება.

ამ დალოცვილი, კეთილშობილი მცენარის დამუშავებული და სახეცვლილი ფხვნილი ფოთოლი ამდენ სიკეთეს რომ განიჟებს და ძარღვებს გიმშვიდებს, გადახედეთ მწვანედ აღაღანებულ ცოცხალ ბუჩქებს, მათაც რა მაცოცხლებელი ძალა გააჩნიათ, სულსა და გულში სულ სხვაგვარი ნეტარებით რომ დაგივლით. წუთით დავივიწყოთ, რომ ჩაი სიკეთის მომცემია: დარწმუნებული ვარ, კაციშვილი ჩაის ბუჩქს მაინც მოაშენებდა, თუნდაც ესთეტიკური თვალსაზრისით, თვალის, სულისა და გულის დასატკბობად, ბუნების სურათის შესამკობად. ეს ხომ ხატულა მცენარეა.

ლამაზია ჩაის პლანტაცია, ვაკეზეც, ფერდობზეც... ბუჩქების ტალღა ტალღას გადასდევს და ერთი მთლიანი გაფუებული ფარდაგივით დაფენილა. მერე იქით ლიმონისა და მანდარინის ბაღებია, მერე ისევ ჩაის „ფარდაგები"... თვალსაწიერზე მაღლდებიან გორაკები და იწყება მთები...

გურიის მთები!

რაღაც სულ სხვა ეშხის მთებია! პოეტები უმღერიან, მხატვრები ხატავენ, ფერებს ურჩევენ... გოროზნი, მშვენიერნი და დიდებულნი დგანან ჯერ კიდევ სრულყოფილად აღუწერელნი და დაუხატავნი.

ჯუმათის სერიდან გავყურებ და თვალს ვერ ვაშორებ.

მზიანი დღეა, მთებს ალაგ-ალაგ სიფრიფანა ნისლი ელამუნება, თითქოს ბერიკაცი წამოწოლილა და ყალიონს აბოლებსო. სიჩუმე სუფევს, სერზე ნიავი დანავარდობს და ჩაის ბუჩქებზე წამოყელყელავებულ დუყებს უნანავებს.

ვდგავარ ჯუმათელების სერზე და ბუნებით ვიხიბლები. თვალს ვერ ვაშორებ ჯუმათის ციხე-კოშკს. ასე მგონია, ძველი დიდების წარსული ნაშთი ისევ დარაჯად უდგას გურიას. სიამაყე და მედიდურობა ახლაც ეტყობა.

სიამაყე და მედიდურობა აქ ყველაფერს ეტყობა, მშრომელი კაცის მარჯვენით გათამამებულ ამ მიწაზე.

...ომარ ჩხარტიშვილი, ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავკაცი, რაიკომში თათბირზე იყო. თათბირიდან გამოვიდა თუ არა, პარტრაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგემ როლანდ თავაძემ გამაცნო.

ბრეზენტით გადახურულ მანქანაში ჩავსხედით და ჯუმათისკენ გავწიეთ.

— საერთოდ, მწერლები და კორესპონდენტები უმეტესად ნატანებისა და შრომის კოლმეურნეობებისკენ მიიწევენ, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ომარმა და შემომხედა, — ჩვენი მასშტაბები უფრო მცირეა... ჯუმათი მთაგორიანი სოფელია და...

— ჩაის არ აგიწონით, — ღიმილით ვთქვი მე, — ერთ რომელიმე ახალგაზრდულ რგოლს შემახვედრეთ...

— შერეული რომ იყოს? ახალგაზრდებიც, წლოვანებიც... მაგრამ მაინც ახალგაზრდული, რადგან... წლოვანებას თავისი უპირატესობა აქვს — გამოცდილება. ზოგიერთი წლოვანი ბევრ ახალგაზრდას სჯობნის. მთავარია სულისკვეთება...

— თქვენ მართალი ხართ...

მახარაძეს კარგად რომ გავცდით, ომარმა ბოდიში მომიხადა:

— ბაილეთის ჩაის ფაბრიკაში უნდა შევიხედო... სულ რამდენიმე წუთით...

ფეხდაფეხ მივყევი.

გზის გასწვრივ ფაბრიკის ძველი კორპუსებია, ეზოში ახალი მიუშენებიათ.

— ეს ახალი საამქროები მთლიანად ჩვენს კოლმეურნეობას ემსახურება. ხალხიც ჩვენი გვყავს დაყენებული, მაგრამ გადამუშავებას ვერ ავუდივართ, დიდძალი მოკრეფილი მასალა მოდის. აი, ხედავთ მანქანების რიგს!

დგას ნედლი ფოთლის მსუყე სუნი, დგანდგარებენ ჩაის „წისქვილები", თავთავიანთ რიგს უცდიან ფოთლით დაზვინული მანქანები.

მეურნე კაცი კი წუხს, სურს დროზე მოასწროს ყველაფერი, კრეფაც და გადამუშავებაც. თუკი მოკრეფილი ფოთოლი ჩახურდა, რაღა ფასი აქვს მისგან დამზადებულ ჩაის... ასეთი ჩაი გინდ დაგიყენებია, გინდა არა, ყველა სიკეთე გამოეცლება და ხვრიპე შეფერადებული ცხელი წყალი!

ეს წუხილი არ ასვენებს ომარს, ვიგრძენი მის განკარგულებებში აქეთ-იქით რომ გასცა ახალგაზრდა კაცის ოდნავ შესამჩნევი სიფიცხით...

ექვსი თვეა, რაც თავმჯდომარედ აირჩიეს. ახალბედა თავკაცია, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნის პოსტიდან წაიყვანეს თანასოფლელებმა.

კოლმეურნეობის კანტორაში, ღია ჭიშკართან შევჩერდი... ჩემს წინ იყო შინმოუსვლელთა დიდებული მემორიალი. ბევრ სოფელში ვყოფილვარ, ყველგან ეტყობათ როგორ ზრუნავენ თანასოფლელების უკვდავსაყოფად, მაგრამ ზოგან ნაკლებად ფიქრობენ ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებაზე, იმაზე, რომ ეს მონუმენტი შთამომავლობას უნდა დარჩეს, როგორც წინაპართა, მამულიშვილთა, სამშობლოსათვის თავდადებულთა დიდი საქმის ამსახველი სიმბოლო.

ბარაქალა ჯუმათელებს! მაღალ პროფესიონალურ დონეზე შესრულებულ მოზაიკურ პანოში ჩასმული ოვალური სურათებიდან აყვავებულ ჯუმათს გასცქერიან ამ ბუდიდან აფრენილი და ბრძოლაში დაცემული არწივები.

ამაოდ არ დაღვრილა მათი სისხლი! სწორედ ეს არის დიდი ნუგეში.



## პარტიის XXVI ყრილობას — შთაგონებული შრომა!



გიგლა გიორგაძის ფოტო.

პლანტაციისაკენ გავწიეთ. ჩაის საწონ ფარდულთან ბრიგადირი ამირინდო ჩხარტიშვილი შემოგვიერთდა. ის იყო ფერდობზე გზას შეუტია მანქანამ, ქალების ჯგუფს წამოვეწიეთ, ჰილის ქუდები ეხურათ, ხელთ კალათები ეჭირათ.

— ეჰე, ჰე! — შემოგვძახა მეწინავემ, სახენათელმა გოგონამ. დანარჩენებმა ხელი დაგვიქნიეს.

მანქანამ აივაკა და გაჩერდა.

ქალები მოგვიახლოვდნენ. იმ თამამმა გოგონამ, წეღან რიხიანად რომ შემოგვძახა, მოწაფესავით დაიმორცხვა — უცხო კაცი დამინახა და ჩემი მოერიდა.

ლუდა ბაკურაძე უმალ გამოირჩა ქალთა ჯგუფში, არა თავისი გარეგნობით, ანდა სითამამით... ქალები განზე გადგნენ და სიტყვა-პასუხი რგოლის მეთაურს მიანდვეს — ყველა საქმეში წინ მიგვიძღვები და მწერალსაც შენ გაეცი პასუხიო.

ქალებმა ჰილის ქუდები მოიხადეს, კალათები მიწაზე დააწყვეს. იმ დღეს, შესვენების მერე მეორედ ამოვიდნენ პლანტაციაში.

— ბოდიშს ვიხდი, — ვეუბნები მათ, — მცირე დროს წაგართმევთ.

— უკეთესია თუ ცოტა ხნით გაცდებიან, — თითქოს თავისთვის ამბობს თავმჯდომარე.

— რაა უკეთესი, ომარ? — თვალები აუციმციმდა ლუდას და ქვეშ-ქვეშ გახედა თავმჯდომარეს.

— ერთი-ორი დღით კრეფა უნდა შევაჩეროთ...

— რატომ?! — ყველას მაგივრად შეიცხადა ლუდამ.

მაშინ კი განზე გავდექი. ასპარეზი შინაურ საქმეებს დავუთმე, ვიფიქრე, აქ რაღაც სერიოზული ამბავია-მეთქი. თავმჯდომარე მე მომიბრუნდა და ალბათ იმიტომ, რომ ჩემთვის გაუგებარი არ ყოფილიყო წამოწყებული კამათი, მითხრა:

— ხომ ნახეთ ბაილეთის ჩაის ფაბრიკასთან მანქანების რიგი... მკრეფავების ტემპს ვეღარ უძლებენ ჩვენი ფაბრიკები.

— ორი დღე კი არა... — ისევ გაცხარდა ლუდა, — ფართობი გაფუჭდება, რას ამბობ! ივნისში ასე დაგვემართა და ჩაი მეორე ხარისხად ჩაიბარა ფაბრიკამ... რად შევირცხვინოთ თავი!

— ახლა გადის პირველი ხარისხი, — მერგოლურს მხარი დაუჭირა ამირინდო ჩხარტიშვილმა.

ქალები კამათში არ ერეოდნენ. ალბათ მერგოლურის იმედი ჰქონდათ, რომ იგი პოზიციებს არცთუ ასე იოლად დათმობდა. ეს მართლაც სერიოზული საკითხი იყო და მინდორში, ცის ქვეშ, ასე ჰარიჰარად არ გადაწყდებოდა.

— ასე რომ ჩქარობთ, გეგმას ვერ ასრულებთ? — ჩავერიე საუბარში.

— რას ქვია ვერ ვასრულებთ?! — თავისდა უნებლიედ ისე შემომხედა ლუდამ, თითქოს ცილი დავწამე რამეში. მერე უცებ შერცხვა თავისი წამოძახილის და მომიგო:

— რაც შარშან მთელი წლის განმავლობაში მოვკრიფეთ, ივლისის დამლევს უკვე მოკრეფილი გვქონდა...

— ამათ ისეთი ტემპი აქვთ აღებული, რომელი ჩაის ფაბრიკა გაუძლებს, — ღიმილით დასძინა ამირინდო ჩხარტიშვილმა. ეამაყება, რომ მისი ბრიგადის ერთ-ერთ რგოლში ვართ სტუმრად.

ოცდასამი წლისაა ლუდა ბაკურაძე, ყოჩაღი, სასიამოვნო მოსაუბრე. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტია, მომავალი მექანიზატორი.

— მაინც მოვხვდი ინსტიტუტში... რამდენიმე წელია ვაბარებ, — თითქოს ნიშნის მოგებით მითხრა ლუდამ, როცა სასაუბროდ გავმარტოვდით.

— მძიმე სამუშაო გაქვთ, ალბათ ამან შეგიშალათ ხელი...

— ჰო, რა ვიცი... ყველაფერში ბრძოლაა საჭირო, ცოდნასთან უფრო... მოისუსტებ და ვერ მოერევი... აი, წელს კი მოვერიე, — კმაყოფილებით ეღიმება ლუდას.

— უმაღლესს დაამთავრებ და მერე?

— მეცნიერების მწვერვალებისკენ არ მიჭირავს თვალი... მერე ისევ აქ ვიქნები, ისევ ჩემს ბუჩქებთან, ოღონდ საჭირო მანქანებით... ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციებსაც სჭირდება მექანიზაცია, მანქანებით დამუშავება და კრეფა...

— ფერდობებზე საკრეფი მანქანა...

— შეიქმნება, — სიტყვას მტაცებს ლუდა, — უთუოდ შეიქმნება, რადგან საჭიროა და ის, რაც საჭიროა, უთუოდ უნდა გაკეთდეს.

ფარდულის ბოძს ქილისყურიანი გოგონა მიყრდნობია და თვალს არ გვაშორებს. ასეა ჩხარტიშვილი, თამილა ჩხარტიშვილი, მეცხრეკლასელი გოგონა.

— თამილაც თქვენს რგოლშია?

— დროებით, სანამ სწავლა დაიწყება... ყოჩაღი გოგოა, — ლუდამ შეხედა და გაუღიმა. თამილას ლოყები შეუწითლდა.

— რამდენს კრეფ, თამილა? — ვკითხე მე.

— ბევრს არ ვკრეფ, მაგრამ ვცდილობ...

— ახლად დაფრთიანებული მეჩაიეა, — გოგონას მოეფერა საპატიო ნიშნის ორდენოსანი ანა ჩხარტიშვილი.

— შინ ხომ არ გაიძულეს, წადი და კრიფეო? — ღიმილით ვეკითხები.

— რას ბრძანებთ, ჩემით მოვედი! — თვალები აუციმციმდა გოგონას. ალბათ ერთი სული აქვს გაჰყვეს ბუჩქებს და ჯერ კიდევ მკრეფავის მოუქნელი თითებით მისდგეს აყელყელავებულ დუყებს. გაივლის წლები და თამილა დეიდა ანასაც გაუსწრებს, ისეთი ცოცხალი გოგო ჩანს.

ისე, როგორც ყველა საქმეში, გამოცდილებას, დახელოვნებას, წლებს მაინც თავისი გააქვს ჩაის ოსტატებში. უძახე წლოვანი! ახალგაზრდაზე მეტს კი კრეფს. ანა ჩხარტიშვილი მერგოლურს ორჯერ უსწრებს, ორდენიც უბრწყინავს მკერდზე.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ახალგაზრდებს აქვთ მონდომება, საქმის სიყვარული და ამ სულისკვეთებით შეჭიდებიან ძნელ საქმეს.

მიწას მართალია დედას ვეძახით, ჩვენი მარჩენალი და მკვებავია, მაგრამ შრომაგარჯის გარეშე იგი არაფერს განებებს, ოფლი თუ არ დააწვიმე და შენგან მუშური ძალა არ იგრძნო, მარცვალს არ მოგცემს, ფოთოლს არ გაიმეტებს.

ახლა ის წუთებია, როცა მოსავალს იმკიან. მანამდე კი... არავის თქმა არ მჭირდებოდა, არავის ახსნა-განმარტება, რომ ეს ბუჩქები თავისით არ მოშენებულა, რომ

ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ომარ ჩხარტიშვილი (მარჯვნივ), მერგოლური ლუდა ბაკურაძე და ბრიგადირი ამირინდო ჩხარტიშვილი.



თითოეულ მათგანს ზრუნვა, მოვლა-პატრონობა სჭირდება. ეს კი ოფლის, დიდი გარჯის ფასია.

აგერ, გუშინ უწვიმია და პლანტაციის ნაპირებს გვიმრა მოსდებია. ნაწვიმარზე უცებ ამოხეთქავს, აყელყელავდება, ერთ ყლორტზე უამრავზე უამრავ ფოთოლს დაისხამს, ჩაის ბუჩქებს მედიდურად გადმოხედავს, მაგრამ... ისეა, როგორც ფუყე, ცხოვრებაში გამძრომი, ქვეყნისათვის გამოუსადეგარი კაცი.

...და თუ მიანებე, გვიმრა კი არა, ერთბაშად სხვა სარეველებიც მოედებიან ჩაის ბუჩქებს, შთანთქავენ და მოაშთობენ.

ასე სუფთა მწკრივებში, ახლა ქალები რომ ჩადგნენ, სარეველა ვერ იბოგინებს.

— ჩაის მოყვანის ოსტატები კი ხართ, მაგრამ ჯეროვანი დაყენება თუ იცით? — ყველას ერთად ვეკითხები.

— გააჩნია, ვის როგორი მოსწონს? — არ დააყოვნა პასუხი ლუდამ.

— შინ გვეწვიეთ და განახებთ... მაგარი ჩაი გიყვართ, საშუალო თუ რბილი?

— განა რბილს შერჩება არომატი და სურნელი?

— გვეწვიეთ, გაგასინჯებთ...

უცებ გამახსენდა ჩემი გულისტკივილი. იმ დილით რაიონის ცენტრში, ჩაისა და ციტრუსების „დედაქალაქში“ საჩაიე ვერ აღმოვაჩინე. საჩაიე, სადაც დაიგემოვნებ სურნელოვან სასმელს, ნახავ მეჩაიეთა ნახელავს, გაეცნობი ამ საქმის ოსტატებს... ერთი სიტყვით, მე ისეთი საჩაიე წარმოვიდგინე, რომელიც აუცილებლად დაამშვენებდა მახარაძეს!

ერთხელ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ვიყავი და იქ უამრავი ჩაიხანა ვნახე. სვამენ დილით, შუადღისას, საღამოთი, ღამით... სვამენ პაწია ჭიქებით, ჩვენ ღვინის ჭიქას რომ ვეძახით. ჩაის ღვინის ჭიქით მიირთმევენ, ღვინოს კი ბევრ სუფრაზე, ჩაის ჭიქებით გვაძალებენ.

ქალები ჩაის კრეფას შეუდგნენ, ნაცადნი და გამოუცდელნი. ყველაზე ახალბედა თამილა ჩხარტიშვილი ისე საგულდაგულოდ არჩევდა და წყვეტდა დუყებს, თითქოს ვარდებს კრეფსო.

ასეთია პირველი ნაბიჯები, კეთილი გზა გქონოდეს ბუჩქთა მწკრივებში, თამილა!

...როცა საღამო ხანს ბრიგადირი ამირინდო ჩხარტიშვილის ეზოში შევედით, დიასახლისს უკვე მოემთავრებინა სამზადისი. სტუმრებს ორი ბოკვერა ბიჭი შემოგვეგება...

თავმჯდომარე ჩქარობდა, რაიკომის პირველი მდივანი მახარაძიდან გამოსულა და ბაილეთში რომ არ შევხვდე, შეუძლებელიაო.

დემურ დვალიშვილი ისეთი კაცია, უფლება არა გვაქვს რაიმე საქმეში ვუღალატოთო.

სადაც ასეთი სულისკვეთება სუფევს, უფროს-უმცროსების ერთმანეთისადმი პატივისცემა, იქ საქმეს არ გაუჭირდება. იმის მაგივრად, რომ კაცი შინ წავიდეს და დაისვენოს, შებინდების ჟამს ჩაის ფაბრიკებს მიაშურებს, რათა შეამოწმოს სად ულხინთ, სად უჭირთ... და ახლა ომარ ჩხარტიშვილი ფაბრიკაში რომ არ შეეგებოს რაიონის თავკაცს, გული არ უთმენს, გული იქით ეწევა... სტუმარსაც მიხედა და ახლა საქმე თავისას მოითხოვს...

ბინდი ჩამოწვა.

ჩამუქდა გურიის მთები.

ცაზე ვარსკვლავები აინთო.

**ჯუმათი, მახარაძის რაიონი.**

# ქართული შამპანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

1962 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა მევენახეობა-მეღვინეობის მეათე საერთაშორისო კონგრესი.

რატომ აირჩიეს საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიო კონგრესის ადგილად? ამ შეკითხვაზე, სხვა სპეციალისტებთან ერთად, პასუხი გასცა იტალიის მევენახეობა-მეღვინეობის აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჯ. დალმასომ.

აი, რას წერდა იგი:

„უპირველეს ყოვლისა, აირჩიეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში საქართველო მევენახეობის უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა. შორეულ წარსულში საქართველოდან მევენახეობა გავრცელდა დასავლეთ ევროპაში... საქართველოში 5.000-6.000 წლის წინათ, ქრისტეს წინ, მზადდებოდა ჩვენი დღევანდელი სახის ღვინოები“...

ჩვენ არ ვაპირებთ, ერთხელ კიდევ ქება-დიდებით მოვიხსენიოთ საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართული ღვინოები. მათ ღირსებაზე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საერთაშორისო დეგუსტაციებზე მიღებული უამრავი მედალიც მეტყველებს.

ჩვენ გვინდა, მკითხველებს შევახსენოთ, რომ მევენახეობა-მეღვინეობის მეათე საერთაშორისო კონგრესზე, ქართულ ღვინოებთან ერთად, დიდი მოწონება დაიმსახურა თბილისში დამზადებულმა შამპანურმაც.

— საამო გემო აქვს.

— ბუკეტიც საამოა.

— ცქრიალაა.

— აქაფების უნარიც მაღალია.

ამბობდნენ კონგრესის მონაწილე სპეციალისტები, როცა ყელყელა ჭიქებით აჭაშნიკებდნენ ქართულ შამპანურს.

საქართველოს, ძველთაგანვე მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკურ ქვეყანას, შამპანურის წარმოების არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს.

რევოლუციამდელ საქართველოს ვენახების ფართობით რუსეთის იმპერიაში პირველი ადგილი ეკავა. საქართველოზე მოდიოდა ვენახების საერთო ფართობის ერთი-მეოთხედი, მიუხედავად ამისა, საქართველოში მეტად მცირე რაოდენობით მზადდებოდა შამპანური.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე, ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება მიექცა შამპანური ღვინოების წარმოების გაფართოებას.

რაოდენ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა საქართველოს შამპანური ღვინოების ექსპორტით ამჟამად ამიერკავკასიაში პირველი ადგილი უკავია, საკავშირო მასშტაბით კი — მეორე ადგილი.

ქართული შამპანური, მოძმე რესპუბლიკების გარდა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება და მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

საქართველოში საშამპანურე ღვინომასალები ზემო იმერეთსა და ქართლის მეღვინეობის რაიონებში მზადდება.

ორჯონიკიძის რაიონი ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ძირითადი ბაზაა, საიდანაც შამპანურის მრეწველობა უხვად იღებს მაღალხარისხოვან ნედლეულს.

რაიონში უმთავრესად ციცქაა გაშენებული. ყურძნის ეს ჯიში, რომელზეც დაფუძნებულია ქართული შამპანურის წარმოება, კარგად აკმაყოფილებს შამპანური ღვინის მოთხოვნილებებს. ციცქა ხასიათდება სინაზით, სურნელებით, არომატით, სასიამოვნო ღია ჩალისფერით.

ორჯონიკიძელი მშრომელები თავდადებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ისინი ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქართული შამპანურის კიდევ უფრო სრულყოფაში.

გახედეთ ლაშის, კიცხის, წყალაფორეთის კოლმეურნეობების ზვრებს, მოინახულეთ იგორეთის, ღვერკის, ლახუნადრის, მოლითის, ბორითის, ხუნევის, ხონის გალაღებული ვენახები და თვალნათლივ დარწმუნდებით, რა გამრჯე ხელი და მონდომება ტრიალებს შიგ!

კოლმეურნეებმა ისიც კარგად იციან, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებული რთველი უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპია საუკეთესო ხარისხის შამპანურის დასამზადებლად.

გადასამუშავებელი ყურძნის გადამწიფება თუ უმწიფრობა დიდ გავლენას ახდენს საშამპანურე ღვინომასალის ხარისხზე. ნაადრევი რთველი მწვავე სიმჟავისა და დაბალალკოჰოლიან ღვინომასალას გვაძლევს, ნაგვიანევი რთველი კი შამპანურისთვის მავნე ნედლეულს იძლევა.

ამიტომაც არის, ორჯონიკიძელი მევენახეები განსაკუთრებული მონდომებითა და პასუხისმგებლობით რომ ემზადებიან რთველისათვის.

სწორედ რაიონის მოწინავე მევენახეების რ. ხაჩიძის, ნ. კიკალიშვილის, ზ. კიკალიშვილის, ა. კვინიკაძის, ე. თხელიძის, მ. კვაშილავას, ა. ნიქაბაძის, ლ. შერგელაშვილის, პ. სხილაძის, ვ. ფაიქოძის, პ. არჯევანიძის, ნ. ქოჩიაშვილის, ბ. ქოჩიაშვილის, თითოეულ მევენახის თავდადებულმა შრომამ ჩაუყარა საფუძველი წარმატებას.

რაიონმა შარშან კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა სამეურნეო წელი. ხარაგოულის სათაო ღვინის ქარხანამ ხუთწლედის მეოთხე წელს 110.000 დეკალიტრის ნაცვლად 150.000 დეკალიტრი ბაუკეთესო ხარისხის ღვინომასალა ჩააბარა რესპუბლიკის შამპანკომბინატს.

შეტევა გრძელდება, ცნობამ სკკპ XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა ორჯონიკიძელი მშრომელები. მათი მიზანია, ახალი წარმატებით ხელდამშვენებულები შეეგებონ ლენინური პარტიის მორიგ ყრილობას.

ეთერ მაჭავარიანი.

# ახალი ლექსები



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გენო კალანდია

* * *

აქ არის ჩემი ცისფერი სახლი,
აქ ცხოვრობს ჩემი კეთილი მამა,
ეზოში დარბის ნაცარა ძაღლი
და უყეფს ღამეს და მთვარის მამალს.

ო, მამაჩემო, გაშალე შუბლი,
შე, ხარის გულო, აილე ჭიქა,
მე ვიმკურნალებ ფაზისის შუქით,
მე აქაური წვიმები მიყვარს.

მე საქართველოს მინდვრების ფერი
თვალებში ჩამრჩა, ვით დიდი განძი,
და ბავშვობიდან სახის იერით
მე აქაური მეცნობა კაცი.

ო, მამაჩემო, აანთე ცეცხლი,
გახსენი სულის შვიდივე ბჭენი,
აჭწონე ჩემი ოქრო და ვერცხლი,
ზედ მივაწერო სახელი შენი.

მე საქართველოს მიმილებს მიწა,
თუ მელირსება სიკვდილი მშვიდი
და სიზმარს ვხედავ: მოხუცი ძიძა
გამოსალოცად ილორში მიდის.

მე არ მეკუთვნის მიქავას ხმალი,
მაგრამ მე პასუხს ყველაზე ვაგებ,
მე გუშინ ვნახე მეგრელი ქალი,
ცისკრის ვარდივით გახსნოდა ბაგე.

მივესალმები სალხინოს ნისლებს,
და მშობლიური მეცნობა მთები
და ხაინდრავას ცხენივით ისევ
გასარბენი მაქვს ახალი გზები.

მე აქაური მიწამლებს ჰავა,
მე აქაური მერგება დალი,
აქ ცხოვრობს სამი პოეტის მამა,
აქ არის ჩემი სამოთხის ბაღი.

* * *

მომენატრება მშობელი მამა,
ის ღვთისნიერი მეგრელი გლეხი,
შუაღამისას დავტოვებ ქალაქს,
გზას დავადგები უეცრად ფეხით.

მაყვლის ბარდიდან იფეთქებს სინწა,
გულამღვრეული თებერვლით, მარტით,
წინ შემომხვდება მოხუცი ძიძა,
თამარ დედოფლის ნაქონი ხატით.

გული დაჭრილი ცხოვრების ქარით
ისევ უმღერის ფაზისის ჭალას,
ვით მეოცნებე პოეტის ქნარი
დღემდე საკუთარ ტკივილებს მალავს.

მომენატრება მშობელი მამა,
ის ღვთისნიერი მეგრელი გლეხი,
შუაღამისას დავტოვებ ქალაქს,
გზას დავადგები უეცრად ფეხით.

* * *

სად მიბრძანდება რუსთაველი?
სად მიდის ცოტნე?
რა გემართება, მაჩაბელო, შე ქრისტეს
სულო?!

შავი ზღვით გხედავთ,
ფშავით გხედავთ,
კახეთით გხედავთ,
რაჭა-ლეჩხუმით,
ხევსურეთით,
სვანეთით გხედავთ!
მესხეთით,
ქართლით,
ხარისძარღვა ფაზისის ველით, —
გხედავთ და გხედავთ!

მინდორში, ტყეში,
ყანაში გხედავთ!
ჩემი გოგონას ლაჟვარდისფერ თვალებში
გხედავთ,
ყველა კაი ყმის სიტყვაში გხედავთ!

სიზმარში, ცხადში,
ბურანში გხედავთ!

ო, უფლისძენო,
ოღონდ მიხმეთ,
მანიშნეთ თვალით
და ფეხშიშველი გამოგყვებით კიდიდან
კიდით!

* * *

მეც დავმშვიდდები,
მეც დავიდგამ
პატარა ოდას,
დავუბრუნდები
ჩემი მრველით,
ჯალაბით მიწას.
მეც სიმონივით
აივანზე
შევხვდები მოთას
და ცეცხლის შუქზე
მოვიგონებ
საყვარელ ძიძას.
არ მინდა დეგა,
არც სეზანი,
მით უფრო მონე,
(მზე-დედაჩემი
ვაშლის რტოზე
ეკიდა თმებით),
გიყურებ თვალში,
ვით პირველი
მსახური, მონა
და შემოდგომის
ყრუანტელით
ნელი-ნელ ვთბები.

თქვენ შავი ღვინო მიირთვით თასით
ბესიკი — ანა დედოფალს

მე სასახლეში გეწვევით კვირას,
ვით ახალგაზრდა თქვენი მსახური,
მე თქვენ მიყვარხართ...
მე ცუდად მძინავს...
მე სიკვდილს ვებრძვი მთელი ზაფხული.

მე ერთგულების მიბოძეთ ხუნდი,
მათ მთელი ქვეყნის ბაჯაღლო ჰქონდეთ,
მე შემიძლია სუყველა მძულდეს,
თქვენ, დედოფალო, ალარასოდეს!

მე განდეგილის მეკუთვნის ფლასი,
ვით წესი ითხოვს და ქრისტეს მცნება,
თქვენ შავი ღვინო მიირთვით თასით,
მე-საწამლავის მომეცით ნება!

### სიყვარულის ფილოსოფია
(ხუმრობა)

ცა გამომშრალა აგვისტოს ხვატით,
ოქრო და ვერცხლი უნთია მნათობს,
თქვენ მოხიბლული ზღვის ანდამატით,
ხვალ უსათუოდ ეწვევით ათონს.

მე გათანგული ბედის თამაშით,
საწამლავივით ავილებ გრანელს,
მე ცოდვილი ვარ, როგორც თარაში,
მე უკვე ზუგდიდს მივდივარ მალე.

თქვენ-სამოთხისას მიჰყვებით ველობს,
მე-ჯოჯოხეთის მოველი წვიმებს,
ღალატისათვის თუ დამსჯი, ღმერთო,
სიყვარულისთვის ნუ დასჯი ვინმეს!

* * *

ვარ ციხე-გოჯით, მარტვილით, რუხით,
ფაზისის ვარდით, გუბაზის სისხლით...
(ო, როგორ შვენის ტყეს ჩვენი მუხის
სამკაულები მთვარის და ნისლის).

ყოფნა-არყოფნის გადავშლი წიგნებს,
შემომანათებ, ვით ძველი განძი,
ვარ ჭყონდიდელით, — მამულის
სიბრძნით,
მკერდზე მედეას ცრემლები მაწვიმს.

ვარ იოანით, არესის ჭალით,
ქართული სიტყვის ვარდის მკრეფელით,
ვარ ცოტნეს გულით და კიდევ ათი
მეფისძენით და მეფისმეფენით.

# მართვის სისტემის ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტი კვლევაძიებით მუშაობას ეწევა ავტომატური მართვის თეორიის განვითარებისა და რეალური სისტემების დამუშავების პრობლემებზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის.**

**ინსტიტუტის შრომებმა, მისი თანამშრომლების მიერ გამოცემულმა ცალკეულმა მონოგრაფიებმა დიდი გამოხმაურება პოვა და მიღწევები არაერთხელ გაშუქდა საკავშირო თუ უცხოეთის სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში.**

**ამ დღეებში ჟურნალ „დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი ნათელა გიორგობიანი ეწვია ინსტიტუტს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, ოპტიმალური მართვის დარგის ცნობილ მკვლევარს, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ მინდია სალუქვაძეს.**

— რას გვეტყვით მართვის სისტემების ინსტიტუტის დაარსებისა და ამ საქმის პირველი ინიციატორების შესახებ?

**— ინსტიტუტი დაარსდა 1956 წელს. თავდაპირველად, 1970 წლამდე, იგი ატარებდა ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის სახელწოდებას. ინსტიტუტის ფუძემდებელი და პირველი დირექტორი იყო გამოჩენილი მეცნიერი არჩილ ელიაშვილი. ცნობილია მისი სამეცნიერო შრომები მიძღვნილი ბმულ ელექტრო წრედში გარდამავალი პროცესების, ავტომატური რეგულირების წრფივი სისტემების მდგრადობის, ცვლადი პარამეტრის მქონე ელექტრონული წრედისა და სხვა საკითხებისადმი.**

**არჩილ ელიაშვილი თავისი მეცნიერული მოღვაწეობით დიდ სამსახურს უწევდა ავტომატური მართვის თეორიის აქტუალური საკითხების გადაჭრას. მან ერთ-ერთმა პირველმა წამოიწყო მუშაობა ავტომატური თარგმანის დარგში, მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია ქართულ ენაზე.**

**არჩილ ელიაშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ემსახურებოდა ავტომატური მართვის დარგში ისეთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შექმნას, როგორიც არის დღეს ჩვენი ინსტიტუტი.**

**დიდი ამაგი დასდეს ინსტიტუტს თავიანთი მეცნიერული და ორგანიზატორული მუშაობით ავტომატური მართვის ცნობილმა მკვლევარმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვახტანგ ჭიჭინაძემ, გივი ხუნდაძემ, რამაზ საკანდელიძემ და სხვებმა.**

— რომელ ძირითად მიმართულებებში აქვს ინსტიტუტს სამეცნიერო მიღწევები?

**— ცნობილია ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ ხარატიშვილის მნიშვნელოვანი შრომები ოპტიმალური მართვის თეორიის დარგში. დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ყიფიანი წარმატებით მუშაობს გამოთვლითი ტექნიკისა და სამეცნიერო კვლევების ავტომატიზაციის საკითხებზე. საერთოდ, ინსტიტუტს სამეცნიერო მიღწევები აქვს შემდეგ მიმართულებებში: ავტომატური მართვა და რეგულირება, ოპტიმალური მართვის თეორია და მისი გამოყენება, სტოქასტური პროცესები ავტომატური მართვის სისტემაში, სახეთა გამოცნობა, ავტომატური თარგმანი, რთული სამართი კომპლექსების დამუშავება, ტელემექანიკური სისტემების შექმნა, ავტომატიკის ელემენტების დამუშავება და სხვა.**

**ამ დარგების განვითარებას ემსახურებიან ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლები, განყოფილებათა ხელმძღვანელები, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები: გურამ რამიშვილი და ოთარ ხომერიკი; მეცნიერებათა კანდიდატები: ვლადიმერ გაბისონია, დიმიტრი გრიგორაშვილი, ნოდარ კილაძე, ნიკოლოზ კალატოზიშვილი, თამაზ ტროყაშვილი, აპოლონ იოსელიანი, გოგი ჩიკოიძე. თავის დროზე ამ პრობლემების გადაჭრას დიდი ღვაწლი დასდეს აგრეთვე ვლადლენ იმედაძემ და ალექსანდრე კაკაურიძემ.**

— პატივცემულო მინდია, რომელი შრომისათვის მოგენიჭათ 1979 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში?

**— პრემია მომენიჭა მონოგრაფიისათვის — „ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანები მართვის თეორიაში“, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ“ 1975 წელს. ეს წიგნი გადაითარგმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში და 1979 წელს გამოსცა გამომცემლობა „აკადემიკ პრესსმა“.**

— როგორია ინსტიტუტის თეორიული კვლევების პრაქტიკული განხორციელება?

**— 1957-1962 წლებში შეიქმნა საქართველოში პირველი უნივერსალური გამომთვლელი მანქანა „დელისი“, რომელმაც წლების განმავლობაში დიდი სამსახური გაუწია ინსტიტუტს სამეცნიერო კვლევის განხორციელების საქმეში და ხელი შეუწყო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას გამოთვლითი ტექნიკის დარგში. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა შემდგომში (1973 წელს) შეგვექმნა ჰიბრიდული გამომთვლელი მანქანა, რომელიც განკუთვნილი იყო რთული დინამიკური ობიექტების მოდელირებისათვის.**

**ამჟამად შეიქმნა გამომთვლელი მოწყობილობა „ტაბლიცა“, რომელიც საფრენი აპარატის მოდელირების კომპლექსური სისტემის შემადგენელი ნაწილია.**

**პირველად ჩვენს ქვეყანაში ინსტიტუტმა განახორციელა საპილოტაჟო ინფორმაციის ასახვის სისტემა. ამ სამუშაომ დასაბამი მისცა ახალი მიმართულების განვითარებას.**

**დიდი მუშაობაა ჩატარებული სტაბილური იზოტოპების, მეტალურგიული წარმოების პროცესების ავტომატიზაციისათვის. დამუშავდა და შეიქმნა ტელეავტომატური მართვის რეალური სისტემები, გამომთვლელი კომპლექსები სტატისტიკური კვლევებისათვის და მრავალი სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტმა ინსტიტუტის 61 სამუშაო აღიარა გამოგონებად.**

— როგორია ინსტიტუტში დამუშავებული რეალური სისტემების პრაქტიკული დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი?

**— დაგისახელებთ რამდენიმე სამუშაოს: ზემოაღნიშნული სისტემის „ტაბლიცას“ დანერგვა საავიაციო მრეწველობაში სახალხო მეურნეობას აძლევს წელიწადში მილიონ ცხრაასი ათასი მანეთის ეკონომიას. ინსტიტუტში დამუშავებული ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მოწყობილობაში ინფორმაციის შემყვანი უკონტაქტო კლავიშის დანერგვამ მხოლოდ ერთ-ერთ ქარხანაში მოგვცა ოთხი მილიონი მანეთის ეკონომია წელიწადში.**

**ავტომატური ელექტროსადგურების სითბური გაცვლის აპარატებისათვის ოპტიმალური პარამეტრების შერჩევის მეთოდის დამუშავება და მისი გამოყენება მილიონ ორასი ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა.**

**ახლა ინერგება სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარის ტელეავტომატური მართვის სისტემა, რომლისგანაც მოსალოდნელია მილიონ ხუთასი ათასი მანეთის მოგება წელიწადში. ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა.**

— გაქვთ თუ არა შემოქმედებითი კავშირი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრებთან?

**— ძალიან მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი გვაქვს ჩვენი ქვეყნის მრავალ სამეცნიერო ცენტრთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტი, რომელმაც ჩამოყალიბების, განვითარებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების პროცესში დიდი დახმარება გაგვიწია.**

**ვმონაწილეობთ აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებში, სიმპოზიუმებში.**

— რას იტყვით თქვენს ახალგაზრდებზე?

**— ინსტიტუტს ყოველწლიურად ვავსებთ ახალგაზრდა კადრებით. მათ ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი მეცნიერული ზრდისათვის. ასპირანტები მზადდებიან როგორც თბილისში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა მოწინავე სამეცნიერო ცენტრებში. ვიყენებთ სტაჟირების ფორმასაც.**

**წარმატებით გაიარეს ასპირანტურის კურსი და დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები რამაზ ხუროძემ, ლევან გვარამიძემ, გრიგოლ შტეინბერგმა, ვლადიმერ სერდიუკოვმა, იოსებ გიგოძემ და სხვებმა.**

**განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები რევაზ გამყრელიძე და ივერი ფრანგიშვილი, რომლებიც ძირითადად მოსკოვში მოღვაწეობენ.**

**ჩვენი ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მუშაობაში. ამ საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი მალხაზ წუწუნავა ჩვენი ინსტიტუტის ასპირანტია.**

**ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ვატარებთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციას მართვის თეორიის აქტუალურ საკითხებზე. უკვე ჩატარებულია ორი კონფერენცია და დასტამბულია მონაწილეთა მოხსენებების თეზისები.**

თემურ ჩალაბაშვილი

# ლექსები



## ს უ რ ვ ი ლ ი

მინდა ავფეთქდე, სიცოცხლე ჩემი
კამარაშეკრულ გავდეს ავაზას.
და მერე, პოეტს ვითარც შეშვენის,
თუნდაც შენს მკერდზე მოვკვდე ლამაზად.
დაობლდნენ ჩემი ბედის მერცხლები,
არ ვიყო ქვეყნად მეტის მთხოვნელი,
ოღონდ სამშობლოს ჩემი ლექსები
იცავდნენ, როგორც მეციხოვნენი...

■

## ს ა ნ თ ე ლ ი

შენ ციური ხარ, სუსტი ცთომილი,
ო, პაწაწინა თაფლის სანთელო,
გყოლია მრევლი ხელაპყრობილი,
შენ შეგინახავს ეს საქართველო.
ჩამოგიქროლებს სული ტაძართა —
და ეგ სიწმინდე გასაკვირია.
ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წაგართვა,
ბევრჯერ დაღვრილხარ და გიტირია.
შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,
მაგრამ რამდენი კვნესა გიგრძვნია;
შენ, საქართველოს ჭირისუფალო,
ბედნიერი ხარ, ნვა შეგიძლია!

■

●

არცა რა ფიქრი, არცა რა დარდი,
ქვეყნად იმდენი პოეტი დადის,
შენზე რომ მარტო ლექსები წერონ,
სამშობლოვ ჩემო,
გეყოფა მტერთა შესამუსრავად!

■

## ნ ა კ ა დ უ ლ ს

შენი ბედი ენატრება ოკეანეს,
ეხარბება შენი სიპატარავე.
გემი არ ჩანს, კაპიტანი იგვიანებს,
მღვრიე ტალღებს სევდა მიაქანავებს.
ქარიშხალი იმეორებს ნაცნობ ბოდვებს,
ცეცხლს აკვესებს ცა უძირო ლამეში,
ოკეანე დილით ითვლის ახალ ცოდვებს,
მკერდს უკაწრავს ქარბორიას თარეში.
შენ კი გქვია პაწაწინა მშვიდი წყალი,
არც არასდროს გინატრია დიდობა,
შენ· არ გტანჯავს — „დაბრუნდება კაპიტანი?"
შენს ნაპირებს აწერია მშვიდობა!

■

## პროფესორ გივი კილურაძის ხსოვნას

კვალზე მივდევდი ფიქრებს,
ფიქრის პერანგი მეცვა.
— საქართველოში, არა,
არ შეიცვლება ზეცა! —
ამას ამბობდით კრძალვით,
სიტყვას დინჯსა და ნათელს,
იმ წუთში წარსულს გავდით,
უფრო წარსულის ქართველს.
და მე ვმწყევსავდი ფიქრებს,
ფიქრებს აბნეულთ გზიდან,
საქართველოში იქნებ,
თქვენ სხვა ღრუბელი გზრდიდათ.
მაშ, რად ამბობდით ასე
სიტყვას დინჯსა და ნათელს?
თქვენ მაგონებდით წარსულს, .
და თმის ღერამდე ქართველს.

■

## ო, დ ე დ ო ფ ა ლ ო!..

გარეთ ქარია...
ხორშაკნი ჰქრიან.
ევლება სენაკს ნათლისღებანი.
ო, დედოფალო!
სხეული გტკივა,
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!
...ვიწრო სენაკში შუქად კიაფობ,
ამაყობ კიდეც გულის წიაღში...
ფეხმორთხმით ზის და
მოსთქვამს იაკობ:
— ტანჯვას მოგანევს ხვალ პიტიახში!..
—ო, დედოფალო!
უარჰყავ რწმენა —
კვლავ ჩაგქირქილებს მარტვილს სატანა
...და წუთით, თითქოს, დაგეხშო სმენა —
უბრძანებ სხეულს მეტის ატანას...
ო, დედოფალო!
იცვალენ მხარი.
თორემ დაწყლულდნენ უფრო წყლულები
— დასთმე სასახლე და შმაგი ქმარი —
ვითარც ბრჭყვიალა სამკაულები ..
გარეთ ქარია...
ხორშაკნი ჰქრიან
ევლება სენაკს ნათლისღებანი.
ო, დედოფალო!
სხეული გტკივა,
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!

■

## გ ო გ ლ ა უ რ ი

გეხვეოდი, ლამის ტრფობამ დაგვახრჩო,
ტყეში შურთხმა თუ დააფრთხო მთვარე,
ივრის პირას ვკრიფეთ თეთრი ყაყაჩო
და გომბორზე გავათიეთ ლამე.
ტანზე იის სამოსელი გემოსა,
ფერხთ გეფინა ძოწეულის ფარჩა,
ვით ალლუმში გამარჯვებულ ცხენოსანს —
არ მელოდა სიყვარულის ჯვარცმა.
გზად მიმავალთ მტერი გადაგვეყარა,
რა ყოფილა ეჰ, მუხთალი ბედი,
გაგიტაცეს და წამართვეს ქვეყანა,
მეც გადმომწვდნენ, გამიჩეხეს მკერდი.
გული მოკვდა... ნეტავ, ვინ გამიმეტა,
ვისი საყდრის გახვევია მრევლი,
შორს მიმავალს რა მიმყვება იმედად?
მხოლოდ წყვილი მარტოობის ცრემლი.

■



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრწანისის ტყე-პარკი

ფონიჭალას რომ გასცდებით და რუსთავის გზატკეცილზე გაივაკებთ, მარცხენა მხარეს რიყის ქვით ლამაზად ნაშენი ორიგინალური ღობე მიიპყრობს თქვენს ყურადღებას; ჭიშკარზე წარწერაა „კრწანისის ტყე-პარკი“ (უნდა შევნიშნოთ, ეს სახელწოდება მისთვის შეუფერებელია; მას ან თბილისის ან რუსთავის ტყე-პარკი უნდა ერქვას).

ტყე-პარკი მტკვრის ორივე მხარეს არის გაშენებული და 117 ჰექტარი ფართობი უჭირავს.

სულ ცოტა ხნის წინათ იქაურობა გულშემზარავი სანახავი იყო. 1970 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ამ ტერიტორიაზე ტყე-პარკის გაშენების შესახებ. ტყე-პარკის დირექტორად ახალგაზრდა გამოცდილი მეტყევე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი არჩილ ფანჩულიძე დაინიშნა.

გაიწმინდა მთელი ტერიტორია, გაშენდა ხეხილი, დეკორატიული ნარგავები. დეკორატიული და სპორტული გაზონების ცნობილი სპეციალისტის გ. აბრამიშვილის დახმარებით დაითესა კანადური კეთილშობილი ბალახის კულტურები, დაირგო ვარდის ჯიშები, რამაც კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა იქაურობა.

...ყოველ საქმეს სიყვარული სჭირდება. არჩილ ფანჩულიძეს სისხლხორცეულად უყვარს თავისი საქმე; იგი მეოცნებეც არის და მიუხედავად იმისა, რომ ნადირობის ტრფიალი არ გახლავთ, რამდენჯერმე იმოგზაურა კოლხეთში; ექვსი ხოხობი ჩამოიყვანა იქიდან და გასამრავლებლად ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაუშვა. ახლა რამდენიმე ათეული ხოხობი აფარებს თავს ტყე-პარკის ჯაგნარსა და ლელიანს.

დიდძალი თევზია ტყე-პარკის თევზსაშენ გუბურებში. სადაცაა ლიცენზიებით თევზაობასაც დაუშვებენ და თბილისელ მშრომელს საშუალება ექნება, საინტერესოდ გაატაროს დასვენების დღეები.

დიდი გეგმა აქვს პარკის ხელმძღვანელობას. მათ დახმარებას უწევს პარტიის გარდაბნის რაიკომი, საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტრო. სულ ახლახან თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებიც ჩაებნენ აქ გაშლილ სამუშაოებში — ივალდებულეს შეფობა გაუწიონ და მზრუნველი ხელი შეაშველონ ტყე-პარკის გამშვენიერების საქმეს.

ცხადია, მთავარი წინ არის — ტყე-პარკი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ გადაიქცეს.

ვ. გრიგოლავა.

## დიდი მეცნიერი

დიდი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელი ცნობილია მსოფლიოში. კოლეგები, მოწაფეები, მეგობრები, ახლობლები, ყველა, ვისაც ერთხელ მაინც უგრძვნია მისი მოქალაქეობრივი თუ მეცნიერული შემართების ძალა, მოწიწებითა და პატივისცემით იხსენიებენ მის ძვირფას სახელს.

ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ილია ნესტორის ძე ვეკუას სულიერი სამყარო მრავალი მხატვრის შთაგონების წყაროდ იქცა.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა გიორგი თოთიბაძემ ახლახან დაამთავრა ილია ვეკუას პორტრეტი, რომელზეც იგი მეცნიერის სიცოცხლეშივე მუშაობდა.

მხატვარმა დიდი ოსტატობით გადმოსცა სახელოვანი მეცნიერის მდიდარი, შინაარსიანი სულიერი სამყარო, მისი შთამაგონებელი სახე.

**სიმონ ნაციაშვილი,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## ერთი წელი და ერთი დღე

— ამ სამყაროში ბევრი განვიცადე და გადავიტანე, სამაგიეროდ, ვიხილე ისეთი ეგზოტიკა, ბედნიერ ადამიანს რომ ხვდება ხოლმე წილად. ესკიმოსებთან ერთად ვინადირე ზღვის ლომებზე, ვეშაპის ზურგზე ავცოცდი, მოვინახულე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი „ჩიტების ბაზარი“, აღელვებული დავაბიჯებდი ვეშაპთა სასაფლაოზე, მესმოდა ორი ათასი თეთრი მელიის ყეფა-ყმუილი.

ეს მხარე პოლარულ ხაზს მიღმაა, სადაც ექვსი თვე ღამეა, განუწყვეტლივ ქრის ცივი შტორმული ქარი, სადაც არ არის ხეები, მაგრამ არის ჩრდილოეთის ციალის ფანტასტიკური ფეირვერკი! — ასე მესაუბრებოდა ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში მოგზაურობიდან დაბრუნებული ახალგაზრდა მხატვარი გურამ დოლენჯაშვილი.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გასულ წელს დაიბეჭდა მისი გრაფიკული ნამუშევარი „ზეიმი კამაზზე“, რომელმაც შემდგომ გაიმარჯვა „ნედელიას“ მიერ გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში „ვერნისაჟი 79“, გურამს მიენიჭა „ნედელიას“ პრიზი და პირველი პრემია. ეს არც გაგვკვირვებია, რადგან გ. დოლენჯაშვილს ახასიათებს საოცარი სიბეჯითე, შრომისმოყვარეობა, მოგზაურობის დაუოკებელი ჟინი. იგი თვეობით ტოვებს სახლსა და სახელოსნოს და ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში „დრეიფობს“.

პროფესიონალ მოგზაურს შეშურდება მისი ბოლო წლების მარშრუტები: ბალტიისპირეთი, ვოლგა, ლენა და დვინა, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, თეთრი ზღვა, კოლისა და ჩუკოტკის ნახევარკუნძულები, კომანდორისა და სოლოვკის კუნძულები, თათრეთი, ლაფერუზას, ბერინგის, ლონგისა და ეკატერინეს სრუტეები, სახალინი, ამურის მხარე, ლაპტევის, ოხოტის, იაპონიის ზღვები, წყნარი ოკეანე, კურილია და კამჩატკა.

ამ მოგზაურობებიდან მხატვარი მდიდარი „ნადავლით“ დაბრუნდა. შექმნა ოფორტთა თვითმყოფადი და საინტერესო სერიები. ყოველ ახალ სერიას მზარდი ოსტატის ხელი ეტყობა. ახალი ნიუანსები, შტრიხები, საინტერესო სიმბოლიკა, ჩანაფიქრის ფილოსოფიური სიღრმე იმის დასტურია, რომ ახალგაზრდა შემოქმედი მიღწეულით არ კმაყოფილდება, ეძიებს და პოვებს.

გურამისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გასული წელი გახლდათ; მისი ნამუშევრები სამ საერთაშორისო გამოფენაზე გაიტანეს და შეუმჩნეველი არსად დარჩენილა. ოფორტთა სერია „თეთრი ზღვის მეთევზეები“ ექსპონირებულ იქნა მსოფლიოს გრაფიკოსთა ბიენალზე იუგოსლავიაში, პირველი ევროპული ესტამპის ბიენალზე გფრ-ში და ბერლინის გამოფენაზე — „ინტერგრაფიკა“. ამ ნამუშევრებისთვის გურამ დოლენჯაშვილი საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა; სერია „შორეული აღმოსავლეთი“ კი პოლონეთში გაიგზავნა. „ნედელიამ“ 1980 წლის საპირველმაისო ნომრის გაშლილი გვერდები დაუთმო მხატვრის ნამუშევარს „მოსკოვი — მშვიდობის დედაქალაქი“.

— ყოველივე ეს მშვენიერია — ვეკითხებით გურამს, — მაგრამ ნუთუ საქართველო არ აღელვებს თქვენს წარმოსახვას?

— ყველაზე დიდი ოცნება, რომელსაც იმ დროისათვის შევასრულებ, როცა მე თვით ვირწმუნებ, რომ მისი აღსრულება შემიძლია, არის ოფორტების სერია ჩემს მშობლიურ იმერეთზე. ჯერჯერობით კი მხოლოდ ერთხელ ვცადე.

გურამმა ეს ნამუშევარიც გვიჩვენა; ცივი ყინულეთის შემდეგ თითქოს იმერეთის თბილმა ნიავმა დაგვქროლა. ორივე — ეს ვეება ყინულთა აისბერგები ჩრდილოეთის ციალის ფონზე და გვერდწაფერდებული იმერული ნალია ჩვენი დიადი სამშობლოს ატრიბუტებია.

მხატვარი თავის სამშობლოს ხატავს.

**ნარგიზა მგელაძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი თოთიბაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი

აკადემიკოს ილია ვეკუას პორტრეტი.



მოგონებანი სახალინზე სერიიდან „შორეული აღმოსავლეთი“

# გურამ დოლენჯაშვილი

ნაოსნობის დასაწყისი სერიიდან „ჩუკოტკა“





ელექტრონული ბიბლიოთეკა

მჭსოველები. სერიიდან „ინდუსტრიული ქუთაისი“

„კურილიის ორღანი“ სერიიდან „კურილიის მესაზღვრეები“







## კრწანისის ტყე-პარკში

თარხან არჩვაძის ფოტო.





აკაკი შანიძე

# ზმნისწინის გამეორება ვეფხის ტყაოსანში

**(952-ე შაირის გამართვის გამო)**

ვეფხის ტყაოსანის 952-ე შაირი ამგვარად იკითხებოდა წინანდელ გამოცემებში, მაგალითად, 1951 წლისა და 1957 წლისაში:

იტყვის, თუ: ღვარი სისხლისა კვლაცა მდენია, კვლაცა მდის.
აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა და-ც-ამდის.
კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის.

ამ შაირის პირველი ტაეპის უკანასკნელი სიტყვაა **ცათამდის,** რომელიც სარითმოა, სრულიად არ ეგუება სხვა ტაეპების სარითმო სიტყვებს, რომლებიც ასე ჟღერს: **კვლაცა მდის, დაცამდის, კაცამდის.** ცხადია, რუსთველს ისეთი მარცხი არ მოუვიდოდა, რომ **ცათამდის** სიტყვის პირისპირ დაეყენებინა მოყვანილი სარითმო სიტყვები. ორში ერთი: ან პირველ ტაეპშია შერყვნილი სარითმო სიტყვა, ან დანარჩენ სამში. მაგრამ როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველია სწორი და სამი დანარჩენი შერყვნილი? უფრო სავარაუდებელია, რომ შერყვნა შეეხო პირველს, სხვები კი ყველა თავის ადგილზე დარჩა.

ვიდრე შევუდგებოდეთ შერყვნილი სიტყვის გასწორების საკითხს და აღვადგენდეთ რუსთველურ ფორმას, უნდა გაკვრით შევეხოთ მესამე ტაეპის **და-ც-ამდის** სიტყვას. **და-ც-ამდის** — ეს არის შემოკლებული **და-ცა-მდის**, ე. ი. **და-ამდის-ცა. დაამდის** ამას ნიშნავს: დაამდებოდა ხოლმე, საამო იყო ხოლმე. მაშასადამე, მთელი ტაეპის მნიშვნელობა ეს არის: ახლა ისე ძნელია გაყრა, როგორც მაშინ საამო იყო ხოლმე შეყრაო.

რადგანაც სარითმო სიტყვები ვერ არის ერთმანეთთან შეწყობილი, ამან გამოიწვია პირველი ტაეპის გასწორება. პოემის შანიძე-ბარამიძის გამოცემაში (1966 წლისაში) ეს ტაეპი ასეა წარმოდგენილი:

ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა **ასწვდების, ა,** ცამდის

რომ გასაგები იყოს ასეთი შესწორება, რომელიც ჩემი წინადადების მიხედვით იქნა მიღებული, უნდა ვიცოდეთ, რომ **ასწვთების** სიტყვის შემდეგ რომ მოდის **ა,** ეს არის გამეორება ზმნისწინისა, რომელიც ზმნას თავში აქვს: ხმა **ა-სწვთების**, ა, ცამდის, პოეტმა მთელი ზმნა კი არ გაიმეორა, არამედ მხოლოდ მისი წინა ნაწილი და ამით გააძლიერა ზმნის მნიშვნელობა: ავთანდილის ხმა ცამდი ადიოდა, ადიოდაო.

ჩვენი სასიქადულო ავტორი ხშირად მიმართავს ისეთ ხერხს, რომ ზმნის მნიშვნელობის გასაძლიერებლად მისი წინა ნაწილი გამეორდეს, ე. წ. ზმნისწინი. მარტივი ზმნისწინი ქართულში რამდენიმეა! **ა, გა, და, მი, მო, შე, ნა.** აი ეს ზმნისწინები შეიძლება გაიმეოროს რუსთველმა ზმნის შემდეგ და ამით ზმნის მნიშვნელობა გააძლიეროს, ამის მაგალითებია:

**გა**

სვეს და ჭამეს, დასაწოლად ყმა **გავიდა** ღამით გარ, **გა** (1018,4)

**და**

ვერ ვასმინე საუბარი, მით **დავყოვნე** ხანი მუნ, **და** (90,4)
იგი მინდორს ნადირობდა, **დაეფანჩა** მარეკი, **და** (270,4)
დავარ თქვა: მქნელი ამისი ვინ არ **დამქოლოს**, ვინ არ, **და** (582,2)
არად მოვჰკრეფდი გამყოფთა, ვთქვი: ჩემთა რად **დავჰრიდო**, **და** (603,2)
მეცა თანა წამოგყვები, **დაიხოცნენ** იგი მუნ, **და** (609,3)
უთხრა: დათმე, ნუ მოჰკვდები, გულსა სრულად ნუ **დასჭრი**, **და** (914,2)
იტყვის, თუ: ბნელი რას მიკვირს, რათგან **დამაგდე**, მზეო, **და** (954,4)
მე დავახვედრო ესე მზე, **და**, მისთვის დამზადებული (1185,2)

**მი**

ვისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ, **მი,** შერისა (3,4)
ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების, მე **მისრულ** ვარ-სადა, **მი,** სად (350,3)
ჩემი თქვი, რა ვქნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ცისა (706,4)
მუნ სარო, მსგავსი ვარდისა, ვნახე, **მიეჭირდა, მი,** ხება (697,1)
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად **მიკრიფე**, მი, რითა (1108,2)

**მო**

იტყოდა: **მომკლავს** უცილოდ ტანი ალვისა, **მო,** ხისა (1260,2)
ფატმან თქვა: ღმერთსა დიდება, საქმენი **მომხვდეს**, **მო,** რანი (1268,1)
მას ადრე ვჰპოებთ, ვისიცა **მოგვკლავს** ალვისა, **მო**, ტანი (1387,4)
მას არა ვიცი შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, **შე,** რისა (3,3)
დიაცსა წყენა შეატყვა, ნახა **შესლვითა**, **შე,** ვითა (1098,3)

**ნა**

ვითა მონა სამსახურად განაღამცა **ნავე**, **ნა,** მე (134,4)
თვალთა წინა **ნაგვივიდა** ლალი, კუშტი, ამაყი, **ნა** (209,4)
დავაპირე შეტევება, ვთქვი: **ნავიდე** მათკე მე, **ნა** (627,3)
ავთანდილსცა ცრემლი **ნასდის** წამწამთაგან ერთ-სახე, **ნა** (659,3)

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, გენიოსი პოეტი ხშირად მიმართავს ზმნისწინის გამეორებას, რითაც ის დიდ ეფექტს ახდენს.

ორ მაგალითში გამეორებულია არა მარტო ზმნისწინი, არამედ სხვა სიტყვებიც:

დავარ თქვა: მქნელი ამისი **ვინ არ დამქოლოს**, **ვინ არ, და** (582,2)
ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების, მე **მისრულ** ვარ **სადა, მი, სად** (250,3)

ორ სხვა მაგალითში ჭირს იმის დადგენა, თუ რომელი ზმნის გამეორებაა!

დიაცსა წყენა **შეატყვა** ნახა **შესლვითა**, **შე,** ვითა (1098,3)

უფრო, ალბათ, **შესლვითა-**სი, რადგანაც უახლოესია. ასეთივე ვითარებაა, ამაშიც:

მას არა ვიცი შევჰკადრო **შესხმა** ხოტბისა, **შე,** რისა (3,3)

აქაც, ალბათ, უახლოეს ზმნასთან აქვს ზმნისწინს კავშირი: **შესხმა** ხოტბისა, **შე,** რისა.

სწორედ ამ რიგისაა შესწორებული და აღდგენილი ტაეპი 952-ე შაირისა:

ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა **ასწვთების ა,** ცამდის.

მოგეხსენებათ, ცა დედამიწას მაღლიდან ახურავს და ბუნებრივია, რომ მას ხმა **ასწვდეს** და არა **მისწვდეს**.

ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერებში, როგორც ამას ვარიანტების წიგნი აჩენს, იკითხება როგორც **მისწვთების** (BOJV და სხვ.), ისე **მისწვდების** (A, ეს უფრო ახალი ფორმაა), **უწვთების (H)**, **უწვდების (CKO** და სხვ.), **მისთვების** (X). ესენი ყველა **მისწვთების** ფორმისაგან მოდის.

მაგრამ არის აგრეთვე **მისწვთომია (C)** და მისგან მომდინარე **მისცდომია** (E), საიუბილეო გამოცემებში (1966 წ.), C ხელნაწერზე დაყრდნობით, აღნიშნული ტაეპი ასე წარმოადგინეს:

ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, **მისწვთომია** ხმა ცამდის.

არა მგონია, რომ ასეთი შესწორება მართებული იყოს. აგრე რომ ყოფილიყო თავიდან, **მისწვთომია** ზმნა არც გადაკეთდებოდა აწმყოს ფორმად **(მისწვთების)**, უთუოდ ტექსტში ეწერა ა **ცამდის,** რაც გაუგებარი იყო და ამან გამოიწვია მისი გადაკეთება **(ცათამდის).** ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ მგოსანთ მგოსანმა **ასწვთების** დაწერა და ჩვეულებისამებრ მისი ზმნისწინი გაიმეორა.



# ბერძენი ჟანა დარკი

საყოველთაოდ ცნობილია საფრანგეთის სახალხო გმირი ქალი ჟანა დარკი, რომელიც 1429 წელს საფრანგეთის არმიას ჩაუდგა სათავეში და ინგლისელებთან ბრძოლაში პირადი გმირობით ალაფრთოვანა ყველა.

თურმე საბერძნეთშიც ჰყოლიათ ჟანა დარკის მსგავსი სახალხო გმირი ქალი.

1897 წელს საბერძნეთ-თურქეთის ომი მძვინვარებდა. თურქებმა იმძლავრეს. საბერძნეთის არმია პანიკამ მოიცვა და უკან დაიწყო დახევა.

ასეთ კრიტიკულ მომენტში ბერძენ პატრიოტებს სათავეში ჩაუდგა ბიჭურად გამოწყობილი ქალიშვილი ელენე კონსტანტინიდისი, რომელმაც დროშაააფრიალა, ხმალი იშიშვლა და ყიჟინით ეკვეთა მტერს.

ელენე კონსტანტინიდისის გმირობამ ყველა ალაფრთოვანა, ბერძენი მებრძოლები თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს და უკან დაახევინეს.

აი, რას წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1897 წლის № 187-ში:

„ბერძენთა ჯარს თურმე ერთი ახალგაზრდა წინამძღოლობს. ეს ახალგაზრდა ქალი გვარად ელენე კონსტანტინიდისია, სულ ჩვიდმეტი წლისა, მშვენიერის სილამაზისა და შეხედულებისა. ტანზე კაცის ტანსაცმელი აცვია და ტყვია-წამლის აბრა ჰკიდია. შავ სამხედრო ქუდზე კაკარდა აკვრია. თოფის სროლა და იარაღის ხმარება კარგად სცოდნია, რაც ბათუმში ყოფნის დროს შეუსწავლია. იმის მამა, თურმე, ერთ დროს ტფილისში კბილის ექიმად იყო, იგი თამამად მიუძღვის ჯარს წინ და თან საბერძნეთის დროშას მიაფრიალებს. ათენში დიდი აღტაცებით მიეგება ერი და „ჟანნა-დარკი" უწოდა ამ გამოჩენილ გმირს — ქალს".

ანდრე კარბელაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი თანამემამულესთან

გიზო ზარნაძე



არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე: სულ სხვა მიზნით ხარ სადმე წასული და შემთხვევა ისეთ ადამიანს შეგახვედრებს, ლამის თავდაპირველი მიზანი გადაგავიწყოს.

ასე მოხდა ამჯერადაც. საქართველოს ტელევიზიამ ლენინგრადს მიმავლინა მწერალ მიხეილ ზოშჩენკოზე გადაცემის მოსამზადებლად. სწორედ ლენინგრადში გავიცანი შესანიშნავი ქირურგი და მოქალაქე, ჩვენი თანამემამულე რიზა ვლადიმერის ძე გელაზონია. პირველად მის უშუალო ხელმძღვანელს, აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სახელობის ლენინგრადის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიულ დაავადებათა კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ა. მ. განიჩკინს ვესაუბრე.

აი, რა მიამბო მან:

— რიზა გელაზონია არის ბრწყინვალე ქირურგი-კლინიცისტი, ნაყოფიერი მეცნიერ-მუშაკი, ზრდილი და კეთილი ადამიანი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებში, სიყვარულითა და დაფასებით — მრავალრიცხოვან პაციენტებში.

მისმა საუბარმა იმდენად დამაინტერესა, გადავწყვიტე, „დროშის“ მკითხველთათვის გამეცნო ჩვენი თანამემამულე.

გულისწადილი რომ გავანდე, ვთხოვე, მარტივად გაეშიფრა სამედიცინო ტერმინები.

— პატივცემულო რიზა! თქვენ ბრძანეთ, ა ბ დ ო მ ე ნ ა ლ უ რ ქირურგიაში ვმუშაობო. უფრო გასაგებად?

— ესე იგი, მუცლის ღრუს არეში მდებარე ორგანოების: კუჭის, ღვიძლის, ნაწლავების, ნაღვლის ბუშტისა და მილების, კუჭქვეშა ჯირკვლებისა და სხვა დაავადებათა ქირურგიაში. ამასთანავე, ეს დაავადებანი, შესაძლოა, ონკოლოგიურიც იყოს და არაონკოლოგიურიც.

— ქართულად ისე სუფთად ლაპარაკობთ, გეტყობათ, ინსტიტუტი თბილისში დაამთავრეთ, არა?

— არა, თბილისში არ დამიმთავრებია და, წესით, მართლაც უნდა მიჭირდეს ქართულად ლაპარაკი: რვა წლის ბავშვი, იმასთან დაკავშირებით, რომ მამა იმხანად რუმინეთში მსახურობდა, ჯერ კრაიოვაში, მერე ბუქარესტში ვცხოვრობდი, იქ შემიყვანეს რუსულ სკოლაში. 1948 წელს ისევ თბილისში დავბრუნდით და ყოფილ ვაკეთა მე-14 საშუალო სკოლაში განვაგრძე სწავლა. სკოლა 1957 წელს დავამთავრე და იმავე წელს ვცადე ბედი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ არ გამიმართლა, ქულები არ მეყო. მომდევნო წელს დონეცკის სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე გამოცდები. მოკლედ, მთელი 23 წელიწადია, მოწყვეტილი ვარ საქართველოს... ჰო, მართლა, გურიაში, კერძოდ სუფსაშიც, ხშირად მიწევდა ხოლმე ყოფნა დედის ნათესავებში, ნაკაიძეებთან.

— ლენინგრადში როგორ მოხვდით სამუშაოდ?

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იასინოვატაიას (პატარა ქალაქია დონბასში) ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში გამამწესეს ქირურგიული განყოფილების ორდინატორად. ხუთი წელიწადი დავყავი იქ. 1000-ზე მეტი ოპერაცია გავაკეთე იმ ხუთ წელიწადში; თანაც, ტრავმატოლოგიც მე გახლდით, უროლოგიც და გინეკოლოგიც. მაშინ ჯერ კიდევ არ ამთავრებდნენ ვიწრო სპეციალიზაციით ინსტიტუტს. ყველას ერთი სპეციალობა ჰქონდა — მკურნალი ექიმი. 1964 წელს დონეცკის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი ა. მ. განიჩკინი, რომელიც კარგად მიცნობდა, ლენინგრადში გადმოიყვანეს სამუშაოდ. 1969 წელს მისი ხელშეწყობით სამუშაოდ ლენინგრადში გადმოვედი.

—ალბათ, ბავშვობიდანვე ოცნებობდით ექიმობაზე.

— ბავშვობაში ექიმობაზე ნაკლებად ვოცნებობდი, მაგრამ არჩევანი, ვფიქრობ, ოჯახის ტრადიციამ უფრო გადამაწყვეტინა. მამაჩემი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე გელაზონია პათოლოგოანატომი იყო, ინფექციურ საავადმყოფოში მუშაობდა. ახლახან გარდაიცვალა.

— დედაც ექიმია?

— არა, დედაჩემი ვალენტინა პორფირეს ასული ბირკაია, ბიბლიოთეკარი გახლავთ. ამჟამად უკვე პენსიაზეა.

— ჰობი თუ გაქვთ რაიმე?

— მაქვს, მაგრამ ღირს ვითომ მისი აღნიშვნა?

— ბრძანეთ და, თუ არ ეღირება, არც აღვნიშნავთ.

— ვხატავ ცოტ-ცოტას. ჭედურობაც მიზიდავს. ქალის პორტრეტი მაქვს ჭედურობით შესრულებული, გამოუჩენელ ადგილას მიკიდია შინ.

— სასიამოვნოა, რომ ხელოვნებაც გყვარებიათ. თუმცა, ჭეშმარიტი დასტაქარი ხელოვანია თავადაც. თქვენ ბრძანეთ, სურათი შინ მიკიდიაო. სად „შინ“, თბილისში თუ ლენინგრადში?

— მე ლენინგრადში ვცხოვრობ.

— თბილისში ვინ ცხოვრობს, იმ სამოთახიან ბინაში?

— მარტო დედაჩემი.

— და ასე უნდა იყოთ სულ?!

— ასე, ალბათ, ძნელი იქნება აწი ცხოვრება. უნდა ჩამოვიდეთ აუცილებლად უნდა ჩამოვიდეთ, თუ მოვახერხეთ.

— ოჯახი დიდი გაქვთ?

— მეუღლე და ქალ-ვაჟი. გელას მამაჩემმა ასწავლა ქართული და მელაპარაკება ხოლმე ცოტ-ცოტას...

— ცნობილია გამოთქმა, ქირურგს ქალის ხელები და ლომის გული სჭირდებაო. ხომ არაფერს დაუმატებდით?

— კიდევ არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — სიტყვა, კეთილი, თბილი და იმედიანი სიტყვა!

— ხომ ვერ გაგვანდობდით თქვენს სუსტ მხარეს? თუ გაქვთ, რასაკვირველია.

— რატომაც არა, გაგანდობთ. ზედმეტად რბილი ხასიათი მაქვს. დამთმობი...

— დამთმობი, ალბათ, ცხოვრებისეულ, წვრილმან საკითხებში ბრძანდებით, თორემ ძნელი წარმოსადგენია სკალპელმომარჯვებული ქირურგი, რომელსაც სულ უკანასკნელ მომენტში ვინმეს კაპრიზით იცვლიდეს გადაწყვეტილებას.

— როგორ გეკადრებათ! როდესაც საოპერაციოში შევდივარ, ნამდვილი დიქტატორი ვხდები. დამთმობი, რასაკვირველია, ცხოვრებისეულ საკითხებში ვარ.

— ხომ ვერ დაგვისახელებდით ისეთ პაციენტს, რომელსაც საგრძნობლად გაუუმჯობესდა მდგომარეობა თქვენთან მკურნალობის შემდეგ?

— მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

— დაგვისახელეთ, თუ შეიძლება, ისეთი ფაქტი, როდესაც თქვენ პირადად განიცადეთ დიდი სიამოვნება იმის გამო, რომ ზუსტი დიაგნოზი დასვით.

— მამის დაკრძალვაზე, რა თქმა უნდა, მისი მეგობრებიც მოვიდნენ. ძალიან კი მომიბოდიშეს, თავადაც ცუდ დღეში ხარო, მაგრამ ერთი ჩვენი ნაცნობი ქალი მოვიყვანეთ და უნდა გასინჯო, ვფიქრობთ, კიბო უნდა ჰქონდესო. გავსინჯე და მტკიცედ, უყოყმანოდ დავსვი დიაგნოზი — კეთილთვისებიანი სიმსივნეა, მაგრამ ოპერაცია სასწრაფოდაა საჭირო-მეთქი. მართლაც ასე გამოდგა.

— რა იყო თქვენი საკანდიდატო დისერტაციის თემა?

— „კონტრასტირებული ღვიძლის ტომოგრაფია“. საერთოდ, ღვიძლის პორტალურ სისტემაში ცხიმოვანი კონტრასტული ნივთიერების (მაოდილის) შეყვანის იდეა ეკუთვნის პროფესორებს: ა. მ. განიჩკინსა და ა. ნ. გრანოვს. მათ სამი თვით დაასწრეს იაპონელ მეცნიერებს 1966 წელს შესაბამისი ნაშრომის გამოქვეყნება. ჩემი თემა ამ იდეის დამაგვირგვინებელი წერტილი იყო და საბჭოთა კავშირში პირველად იქნა დაცული.

— ამჟამად, ბუნებრივია, სადოქტორო თემაზეც მუშაობთ, არა?

— დიახ.

— პატივცემულო რიზა, სულითა და გულით გისურვებთ დიდ წარმატებას. ასევე გისურვებთ, ახლა ერთი 23 წელიწადი ჩვენთანაც წაიმუშავოთ, საქართველოშიც.

# დილა ტყეში

ცნობილ მწერალს კლავდია დევდარიანს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. შეუმჩნევლად გავიდა დაძაბული, შთაგონებით აღსავსე ათეული წლები. ამ ხნის მანძილზე მწერალი თავგამოდებით ემსახურება ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად მხურვალედ ულოცავს ძვირფას მეგობარს დაბადების 70 წელს.

კლავდია დევდარიანი

— დილა მშვიდობისა, მეზობელო, როგორ წვიმდა წუხელ, ლამის წაგვლეკა.

— ოჰ, ნუ მკითხავ, გეთაყვა, ამ ხნისა ვარ და გაზაფხულის ასეთი ჭექა-ქუხილი არ მახსოვს! — ესაუბრებოდნენ ერთმანეთს მუხის ტოტზე ჩამომსხდარი კოდალა და ოფოფი.

— ჩემს ჭაბუკობაში, წვიმის შემდეგ ამოვიდოდა ცხრათვალა მზე, მიდამოს სხივებს მოჰფენდა, ჩემს ფოთლებზე წვიმის წვეთები აციმციმდებოდა, გუდა-ნაბადს აიკრეფდა. წვიმისაგან გათელილი ბალახი წელში გასწორდებოდა, მინდვრის ყვავილები წამოიყელყელავებდნენ და მზეს მორცხვად შესციცინებდნენ! — ჰყვებოდა ბერმუხა.

მოფრინდა გვრიტი, ოფოფისა და კოდალას გვერდით ჩამოჯდა, ბერმუხის ნაამბობს უსმენდა.

— მუდმივმა ჯანლმა ჭიალუა გაავრცელა, ლამის გულ-მუცელი გამომჭამონ! — დაიკვნესა ბერმუხამ.

— ჭიალუას შენ თავს როგორ შევაჭმევინებ, ჩემო კარგო! — დატრიალდა კოდალა, ისეთი რახარუხი ატეხა, ყურთასმენა აღარ იყო. ზოგჯერ ყურს მიუგდებდა, სადაც ყრუ გუგუნს გაიგონებდა, აღარ ეშვებოდა, მუხის ქერქში გრძელ ნისკარტს ჩაჰყოფდა, მატლსაც მეტი რა გზა ჰქონდა, ნებოიან ენაზე ეკვროდა, კოდალაც უმალვე გადასანსლავდა.

— ღმერთმა გიშველა, მთელი ღამე გულს მიღრღნიდა ეგ საძაგელი, ეგა, რა მეშველებოდა თქვენ რომ არა მყავდეთ!

— დიდი იმედი ხარ ჩვენი, წუხელ როგორ უმკლავდებოდი გრიგალს?! შენს ტოტებს ისეთი შხუილი გაჰქონდათ, გული მისკდებოდა, შენმა ფუღურომ გადამარჩინა, შენი სიკეთე არასოდეს დამავიწყდება! — კოდალამ ამოიოხრა და გვრიტს გადახედა. იქვე ჩამომჯდარმა მობუზულმა გვრიტმა ცრემლი მოიწმინდა.

—რა დაემართა გვრიტს? — იკითხა მუხამაც.

— კუნელზე ჰქონდა ბუდე, ქარიშხალმა კუნელი ძირიანად ამოთხარა.

— საწყალი კუნელი, როგორი ახალგაზრდა იყო! — დაენანა მუხას.

— განა არ ვურჩიე, ბუდე შენს ტოტებში გაეკეთებინა, არ დამიჯერა. კიდევ კარგი, კვერცხები არ ჰქონდა დადებული.

— ჩვენი წესი და ჯილაგი არ არის ბუდე დიდ ხეზე გავიკეთოთ!— თქვა გვრიტმა.

— შორს არსად წახვიდე! — ხმა ამოიღო ოფოფმა.

— ჩვენთან მოდი, მეგობარო, ჩვენ ხშირ ბუჩქებს ქარიშხალი ვერაფერს დააკლებს! — გამოეხმაურა მაყვლისა და კატაბარდას ერთმანეთში გადახლართული ბუჩქი.

გვრიტი ბუჩქზე გადაფრინდა.

— წყაროც აქვეა! — ანუგეშა ბუჩქმა, — ჭირი მართალთაო; რა უწყინარი, კეთილშობილი და მშვიდობიანი ხარ!

— კარგი გვარისანი ხართ, თქვენი სიგლახე არავის სმენია; ერთმანეთისა და შვილების თავგანწირვით დამცველნი! — დაუდასტურა მუხამ.

— თქვენთან საუბარს შევყევი და უსაუზმოდ დავრჩი! — ოფოფმა ქოჩორი ლამაზად შეიკეცა და ფრთები გაშალა.

— აგერ, მეგობარო, ჩვენ მუხას განა ცოტა ჭიალუა ახვევია! — მიიწვია კოდალამ ოფოფი.

— არა, ჩემო კარგო, მინდორში გავფრინდები, ნაწვიმარზე ხოჭოები გამოდიან, იმ მავნებლებს მუსრს გავავლებ და ყელსაც ჩავიკოკლოზინებ!

— წინათ ბუდესთან დღეში სამასჯერ მაინც მივფრინდებოდი; შვილები ისე მყავდნენ გამოკვებილნი, ავ თვალს არ ენახვებოდა, ახლა ეს ოხერი ჯანღი სულს მიხუთავს, ისე მომთენთა, წელს ძლივსღა დავათრევ, ვერ იქნა და ვერა, ძვლები ვერ გავითბე, ფრთები და მუხლები მიკანკალებს, ეს მუდმივი ჯანღი კეთილს არ დამაყრის, არა!— ბუზღუნებდა მუხას შეფარებული კოდალა.

— მეზობელო, მეზობელო! — კოდალას ფიქრი ოფოფის ჭყივილმა შეაწყვეტინა.

— რა იყო, რა მოხდა, აღარ იტყვი?

— მოიცა, სული მოვითქვა, გული დავიწყნარო! — ძლივს სუნთქავდა ოფოფი.

— თქვი, გული ნუ გამიხეთქე!

— ის იყო, ვებერთელა ხოჭოს დავაცხრი, წყაროს პირას ჩავიტანე და ქვაზე ჩეჩქვა დავუწყე, უცებ შინდიანში ისეთი ჟივჟივი ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო. ხოჭოს ქერქი სწრაფად დავამტვრიე, ჩავყლაპე და შინდიანისკენ გავფრინდი. თურმე ნუ იტყვი, მივარდნიათ ის უქნარა გუგული; შინდიანში ბევრი წვრილი ჩიტი ბუდობს, დაეხვივნენ, მისი ბუმბული ველად გაჰქონდა ნიავს. ხომ იცი, როგორი უტიფარია, არავის ზოგავდა, ყველას უნისკარტებდა, იგერიებდა, გულის ჯავრი კი ამომყარეს, კუდით ქვა ასროლინეს, იცოცხლე, იკადრა გაფრენა, ჩვენსკენ გამოეშურა, ის არამზადა ისა, გამოვფრინდი, ბუდეს მივხედო!

— გაფრთხილდი, არ მოგეპაროს, ის უტიფარი, ისა!

— მაგის ბარტყი ჩემს მტერს, გააძლობ თუ, ბოროტება ჯილაგში აქვს, ბარტყებს გადმოგვიყრის, თვითონ გაფოფინდება!

— აგერ არ მობრძანდება! — იყვირა ოფოფმა.

— დილა მშვიდობისა, მეზობლებო! — წარბშეუხრელად მიესალმა გუგული.

— ერთი ამას დამიხედეთ, სადაური შენი მეზობელი ვარ, ბუდე შენ არ გაქვს და ეზოყურე! — შეუტია ოფოფმა.

— შენისთანა მუქთახორა მეზობელი რა ხელს გვაძლევს, ახლავე დაგვეკარგე აქედან! — დაუცაცხანა კოდალამ.

— ასე ილებენ თქვენთან სტუმარს?!

— სტუმარს გააჩნია, შენისთანა სტუმარი ჩემს მტერს!

— არა, გეთაყვა, აქედან არსად არ წავალ, ამ ტყეში ასეთი კარგი ადგილი არ მეგულება, თუ არ მოგწონვართ, თქვენ თვითონ მიბრძანდით! — გუგული მოშორებით ჩაეშვა ბუჩქებში.

— ხედავთ, ამ უტიფარს, გაგვიმწარებს სიცოცხლეს, მაგის გადამკიდეს რაღა მოგვასვენებს.

იმ უბნის ფრინველებს იმ ღამეს ძილი გაუფრთხათ.

ტყეში მტრედისფერი ნათელი შემოიჭრა.

— გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ! — აშრიალდა მუხა.

ყველამ გაიღვიძა: ზღარბუნიამ, ციყვმა, თაგვმა, ლოკოკინამ, ფუტკარმა; წყაროსთან მოიყარეს თავი — იქ ყველას თავთავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

— ქურდბაცაცა წრუწუნები როგორ გამრავლებულან, მაგათ ვუჩვენებ სეირს, მუსრს გავავლებ, მუსრს! — დაემუქრა ზღარბი.

წრუწუნებს არ ესიამოვნათ ზღარბის დანახვა — იქაურობას გაეცალნენ.

თხუნელა წყალში შეცურდა, იქედან უბღვერდა ყველას.

— გამარჯობა, მეზობელო! — მიესალმა ზღარბი.

თხუნელა ყურადღებას არ აქცევდა.

— რისთვის გარჯილხარ, მეზობელო?! — არ ეშვებოდა ზღარბი.

— ვინ გეხვეწება ჩემ საქმეში ჩაერიეო! — აბუზღუნდა თხუნელა.

— რა უჟმური ხარ! — ქოქოლა მიაყარა ზღარბმა.

— კუდმაკრატელას გაუმარჯოს — აჭახჭახდა შაშვი.

— მერცხლებს გაუმარჯოს, თქვენ მობრძანებას გაუმარჯოს! — მიესალმა ოფოფიც.

— აქ ჩამოდით, აქ მშვენიერი მორევია! — ვერ ისვენებდა კოდალა, ცივ წყალს ტანზე ისხამდა, ფრთებს აფართხუნებდა.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? — დაიმორცხვა მერცხალმა.

— როგორ გეკადრებათ!

— როდის ჩამობრძანდით?

— დილით გეახელით, მტრედისფრად რომ ინათა! — მერცხალი წყალში ჩავიდა, — უჰ, რა ცივია!

— არ შეგცივდეს, ნამგზავრი ხარ!

ყველამ მაყვლის ბარდზე მოიყარა თავი.

— რა ჯანღიანი დღეა, მზე რატომ არ ჩანს?! — გაიკვირვა მერცხალმა.

— სადღაა მზე, მზიანი დღე ჩვენი სოფლის ამ უბანში აღარ არის!.

— რატომ, რა მოხდა?!

— აქ რამ მოგიყვანათ?! — ამოიოხრა გვრიტმა, — ლამის ჩვენც გავეცალოთ აქაურობას!

— რა მოუვიდა მზეს? — გაოცდა მერცხალი.

— მზე დაიკარგა!

— როგორ თუ დაიკარგა, სად დაიკარგა?!

— შეხედეთ მილებს, რაც ადამიანებმა ეს მილები წამოჭიმეს, ასეთ დღეში ჩავცვივდით, აღარც მზეა ჩვენთვის, აღარც მაცოცხლებელი დილის ნიავი, აღარც მთვარიანი ღამე, აღარც ღამის სიო! — აბუბუნდა ბერმუხა, — ასეთი გაწამებული სიცოცხლე რომ მქონოდა, ამ დრომდე რა მომაღწევინებდა?!

— ბედმა დაგვცინა, თუ კი ქარმა დაუბერა, ისეთი მტვერი მოაქვს, სულის მოთქმა გვიჭირს; ყვავილებს შეხედე, არც ერთს აღარ აქვს თავისი ფერი, ნაცარტუტისა და ჭუჭყის ფერი ადევს ყველას.

— კუდმაკრატელებს გაუმარჯოს, მოფრინდით, გაზაფხულის მახარობლებო?! კარგია, ძველ ფუძეს არ ივიწყებთ, მიამა თქვენი დანახვა! — ზღარბუნია მერცხლებთან

# ილია ჭავჭავაძე — ახალგაზრდობის ქომაგი

გურამ შენგელია

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბაირახტარი ილია ჭავჭავაძე დიდ მზრუნველობას იჩენდა მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, თვალყურს ადევნებდა მათ საქმიანობას, საჭიროებისას იცავდა ადმინისტრაციის უხეში ძალადობისაგან.

ქართველი მოსწავლეებისადმი ილია ჭავჭავაძის გულისხმიერების ერთ-ერთი მაგალითია მისი ინიციატივით „ივერიაში" დაბეჭდილი მასალა ხონელ მოსწავლეთა გაფიცვის თაობაზე.

1893 წლის მარტში გაიფიცნენ ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეები. რა იყო ხონელ მოსწავლეთა გაფიცვის მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა 1893 წლის „ივერიის" 56-ე ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: „ჩვენის ასეთი საქციელის მიზეზი, — ჩიოდნენ მოსწავლეები, — ის არის, შეწუხებული ვართ სემინარიაში მით, რომ სასტიკად გვეპყრობა სასწავლებლის მთავრობა, ტანთ არ გვაცვია რიგიანათ, საჭმელი არ გვაქვს და სასმელი რიგიანი".

ამ გაფიცვასთან დაკავშირებით ადგილზე მდგომარეობის შესწავლის მიზნით ხონს ეწვია კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი ზავადსკი. მოსწავლეები სემინარიის ადმინისტრაციას დათანხმდნენ „სასწავლებელში მისვლაზე იმ პირობით, რომ არავის გარიცხავდნენ, ვიდრე თვით მზრუნველი არ გაერკვეოდა საქმის ვითარებაში".

ხონელ მოსწავლეთა გაფიცვის შესახებ „ივერიაში" გამოქვეყნებულმა კრიტიკულმა მასალამ საცენზურო კომიტეტის გააფთრება გამოიწვია. საცენზურო კომიტეტის უფროსი გაზეთის რედაქციას ბრალს სდებდა ხონელ მოსწავლეთა გაფიცვის არასწორად გაშუქებაში, ფაქტების დამახინჯებაში. საცენზურო კომიტეტის უფროსის 1893 წლის 7 მაისის მიმართვაში მთავარმართებლისადმი ვკითხულობთ: „ქართულ გაზეთ „ივერიის" 56-ე ნომერში დაიბეჭდა მასალა, რომელიც არასწორად აშუქებს სასწავლო ოლქის ინსპექტორის ზავადსკის საინსპექციო მივლინების შედეგებს ხონის სემინარიაში მოსწავლეთა უწესრიგობებთან დაკავშირებით, რის გამოც საიდუმლო მრჩეველმა იანოვსკიმ მომმართა მე, რათა მოვახდინო ზემოქმედება გაზეთ „ივერიაში" საოლქო ინსპექტორის ოფიციალური უარყოფის დასაბეჭდად" (პარტიული არქივი, თბილისი, ფ. 8, საქ. 9. ფურც. 216).

ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ „ივერიის" რედაქტორი ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგი წასულა ზემოაღნიშნული უარყოფის დაბეჭდვისა, მაგრამ ზემდგომი ორგანოების „დაწოლის" გამო იგი იძულებული გამხდარა, „ივერიაში" რუსულ ენაზე გამოექვეყნებინა უარყოფა. ქართველი მკითხველისთვის ცხადი რომ გამხდარიყო, ვისი ნება-სურვილით ხდებოდა „შეცდომის" გასწორება, ილია ჭავჭავაძემ საცენზურო კომიტეტის ზემოაღნიშნულ უარყოფას წარუმძღვარა: „იბეჭდება საცენზურო კომიტეტის განკარგულებით".

„ივერიის" რედაქტორის ასეთი ნაბიჯი საცენზურო კომიტეტის უფროსმა შეაფასა როგორც მისი დირექტივის აბუჩად აგდება. იგი მთავარმართებელს აღშფოთებით აუწყებდა, რომ „ივერიის" რედაქტორი თავადი ილია ჭავჭავაძე აშკარა უპატივცემლობას იჩენდა საცენზურო კომიტეტის მითითებებისადმი. განრისხებული ჩინოვნიკი მოხსენებითი ბარათით ატყობინებდა მთავარმართებელს, რომ იგი „ივერიის" რედაქტორის თვითნებობის შესახებ აცნობებდა ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს უფროსს რეაგირებისათვის (პარტიული არქივი, თბილისი, ფ. 8, საქ. 9, ფურც. 218).

ვფიქრობთ, სავსებით გასაგები უნდა იყოს ილია ჭავჭავაძისადმი საცენზურო კომიტეტის უფროსის განრისხება. საქმე იმაშია, რომ საცენზურო კომიტეტი ლამობდა შეელამაზებინა ხონელ მოსწავლეთა გაფიცვა, ცდილობდა წარმოედგინა იგი როგორც უმნიშვნელო უწესრიგობა, ამ ფაქტისათვის დამახინჯებული ინტერპრეტაცია მიეცა; ეს მარტივი ასახსნელია — „ბუნტარული" ხასიათის მასალების ბეჭდვის აღკვეთა საცენზურო კომიტეტის ძირითადი ფუნქცია გახლდათ.

ილია ჭავჭავაძე ცხოველ ინტერესს იჩენდა მოსწავლე ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობისადმი. იგი პროგრესულად მოაზროვნე მოსწავლეების უანგარო შემწე და მრჩეველი იყო.

როგორც ცნობილია, 1893 წლის დეკემბერში თბილისის სასულიერო სემინარიაში მოხდა მოსწავლეთა გრანდიოზული გაფიცვა. ამ გაფიცვის ორგანიზატორები იყვნენ სემინარიიდან „მგლის ბილეთით" გარიცხული მიხა ცხაკაია და ამავე სასწავლებლის მესამე კლასის მოსწავლე ლადო კეცხოველი. 1893 წლის 30 ნოემბერს ქალაქგარეთ, საბურთალოზე, „მ. ცხაკაიამ და ლ. კეცხოველმა კრებას გააცნეს გაფიცვის გეგმა და ეგზარხოსისადმი წარსადგენი მოთხოვნები" (ზ. გეგეშიძე, „ლადო კეცხოველი", თბ., 1977, გვ. 13).

თუ რას მოითხოვდნენ სემინარიელები, ნათელ პასუხს იძლევა საქართველოს ეგზარხოსის ვლადიმირის რაპორტი სინოდისადმი სემინარიელთა 1893 წლის გაფიცვასთან დაკავშირებით. „სემინარიელებმა, — აღნიშნავდა ეგზარხოსი, — გადმომცეს საერთო განცხადება, რომელიც შეიცავდა საჩივარს სემინარიის რექტორის საქციელზე. აქვე მოითხოვდნენ სემინარიაში სხვა საგნებთან ერთად ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას შედარებით ფართო პროგრამით, მიუთითებდნენ ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფაზე და... მკაცრ დისციპლინაზე" (საქ. სსრ ცსია, ფ. 440, საქ. 1333, ფურც. 6).

საყურადღებოა, რომ მოსწავლეებს თავიანთი პეტიცია თავდაპირველად ილია ჭავჭავაძისათვის გაუცვნიათ. ამასთან დაკავშირებით ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა თავის „მოგონებებში" წერს: „გავიგეთ, რომ ილიას მოუწონებია პეტიციის შინაარსი; დასაბუთებულად უცვნია ის". „მართალია აუცილებლად იქნება მსხვერპლი, მაგრამ დათმობაზე წასვლა მაინც უმიზნო იქნება", — უთქვამს დიდ მოაზროვნეს (ი. ვართაგავა, მოგონებები, წიგნი I, თბ., 1956, გვ. 181).

დიდი ილიას წინასწარმეტყველება გამართლდა — მთავრობის მკაცრი განაჩენით გაფიცვის მონაწილე 87 სემინარიელი „მგლის ბილეთით" გარიცხეს სემინარიიდან. თბილისის სასულიერო სემინარია ერთი წლით დაიხურა (პარტიული არქივი, თბილისი, ფ. 8, საქ. 15, ფურც. 104-105).

არსებული მასალები ნათლად მიგვითითებენ იმ დიდ მზრუნველობაზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე იჩენდა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობისადმი. ერის თავკაცი, რომელიც ტიტანურ შრომას ეწეოდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებებს, თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა ქართველ მოსწავლეთა ბრძოლას მშობლიური ენისა და ლიტერატურის დაცვისათვის, მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მიცურდა, — ჩვენ რომ ველარ დაგხვდით ჩვენებურად, ძველებურად?!

— გაგიმარჯოს, კეთილო ზღარბუნია! — სალამი დაუბრუნეს მერცხლებმა, — რა დარდი გაგჩენიათ ამ გულუხვ და ლამაზ სოფელში?!

— დიდი დარდი გაგვიჩნდა, დიდი — უმზეობა, მუდმივი ჯანღი, ჭუჭყი და ნაცარტუტა. თქვენ როგორღა ხართ, ჩემო კარგებო?! — მიუბრუნდა ზღარბუნია წყაროს პირას ჩამწკრივებულ ფუტკრებს.

— რაღა როგორა ვართ, ჩემო კარგო, ლამის ამოვწყდეთ. ამ წყაროს წყლით ვიბრუნებთ სულს, ნექტარი გვენატრება, ყვავილები მტვრითაა სავსე!

მერცხლებმა ცად აზიდულ მილებს ახედეს — მილებიდან შავი კვამლი ამოდიოდა.

— ეს რა მოგსვლიათ?! — თავში ხელი შემოიკრეს მერცხლებმა, — ბევრგან გვინახავს მსგავსი მილები მაგრამ ასეთი კვამლი?

— აქ ცხოვრება რომ აღარ გამოგვადგება, განა არ ვიცი, — აწუწუნდა მაყვლის ბუჩქი, — სად წავიდე, მე ბედშავი, სად წამესვლება?!

სიჩუმე ჩამოვარდა — ყველა თავის საფიქრალს ფიქრობდა.

— წადით, წადით! — კვლავ წამოიწყო მაყვლის ბუჩქმა, — ბულბულები ხომ თითქმის გაეცალენ აქაურობას და თავს უშველეს; თქვენც უშველეთ თავს. ფრენა შეგიძლიათ, ცურვა შეგიძლიათ, წადით იმ სოფელში, სადაც მზე ანათებს, სიოს ყვავილთ სურნელი მოაქვს, მთვარე ზღაპარს გიამბობთ!

— როგორ მოვისწრაფოდით, როგორ გვენატრებოდა ჩვენი ძველი ფუძე; გვაპატიეთ, მეგობრებო, ჩვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, აქაურობას უნდა გავეცალოთ!

— თქვენ რა გიჭირთ, ქვეყანა გადმოგივლიათ, ცოტას კიდევ გაიჭირვებთ, თავს უშველით. მე რა მეშველება, სად ვიარო ამ უკიდეგანო ქვეყანაში?! — აწუწუნდა ზღარბი.

მერცხლებმა ერთად მოიყარეს თავი.

— მეზობლებო, საყვარელო მეზობლებო, სხვა გზა არც თქვენა გაქვთ, უნდა აიყაროთ, აქაურობას უნდა გაეცალოთ, ეს მილები ხეირს არ დაგაყრით. ვიცით, რა ძნელია თქვენთვის ფუძის მიტოვება, მაგრამ სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ხომ გაგიგონიათ?!

— არ გაბრიყვდეთ, არ მიატოვოთ თქვენი ფუძე, მაგათი აყოლა რას გარგებთ, მაგათი ჯიში სხვა არის — დღეს აქ არიან, ხვალ ცხრა მთას გადაივლიან. ადამიანები მილებს სარქველებს უკეთებენო! აჭყიპინდნენ ბეღურები და მოსაუბრეებს გარს შემოეხვივნენ.

— ვინა თქვა, ვინა?! — გაიხარეს ფრინველებმა.

— ცა და ქვეყანა ამბობს. იმ განაპირა მილს გახედეთ, იქიდან ბოლი აღარ ამოდის. ამბობენ, გონიერმა კაცმა იმ მილს ვეებერთელა სარქველი დაადო, სოფელი რომ არ შეაწუხოსო! — კვლავ აჭყიპინდნენ ბეღურები.

— შენ პირს შაქარი!

— შენ პირს შაქარი!

— ქვეყანაზე კეთილ ადამიანს რა გამოლევს!

— ადამიანს ბევრი რამ შეუძლია! — აშრიალდა მაყვლის ბუჩქი.

— დიახაც რომ შეუძლია და იმიტომაც ჰქვია ბუნების ქომაგი. ამ შავი კვამლისაგანაც დაგვიცავს და ზოგიერთი უკულმართის ქვასროლიობისაგანაც. აგერ ისიც მოდის და მზესავით გაგვინათებს. ადამიანმა თუ კეთილი საქმე მოინდომა, წინ არა დაუდგება რა! — იმედიანად გამოსძახეს ბულბულებმა, რომლებიც მახარობლებივით მოფრინდნენ.

# სტუდენტებთან

ირაკლი ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუმორის ხაზინიდან

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ირაკლი იაკობის ძე ტატიშვილი ჩვენი ხალხის დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, როგორც დიდებული მეცნიერი და გულისხმიერი პედაგოგი. მაგრამ მას აქვს ერთი გატაცებაც, რაც მხოლოდ ახლო მეგობრებმა და მოწაფეებმა იციან — იუმორი. ირაკლი ტატიშვილს დაწერილი აქვს იუმორისტული მოთხრობების წიგნი, რომელიც მედიცინის დარგის მუშაკთა ცხოვრებას ეხება.**

**ვაქვეყნებთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან.**

● ერთი პროფესორი ფსიქიატრი სტუდენტებს ლექციას უკითხავდა აკვიატებული აზრის თაობაზე.

— აი მე თქვენ წარმოგიდგენთ ავადმყოფს, რომელსაც აკვიატებული აზრი ჰქონდა.

პროფესორმა უხმო ავადმყოფს და გაუბა მას საუბარი:

— მაშ, თქვენ ამბობდით, რომ თავში თევზები გყავთ, არა? — ჰკითხა პროფესორმა ავადმყოფს.

— ვამბობდი, მაშ, ვამბობდი თევზები-მეთქი.

— მერედა, განა შეიძლება თევზები ჰყავდეს კაცს თავში? ჰა? ხომ არ შეიძლება? არ შეიძლება! ახლა ხომ დარწმუნდი, თევზები რომ არა გყავს თავში?!

— დარწმუნებული ვარ, მაშ, თევზები არა მყავს, არა მყავს, მაგრამ...

— რა მაგრამ?.. — ხმა გაებზარა პროფესორს.

— თევზები არა მყავს, მაგრამ ლიფსიტები მყავს.

— როგორც ხედავთ, ამხანაგებო, — განაგრძო პროფესორმა, — მკურნალობამ თავისი შედეგი გამოიღო და ავადმყოფობის მასშტაბი გაცილებით შემცირდა. თევზი ლიფსიტამდე დავიდა. შეკითხვები თუ გაქვთ?

ერთმა სტუდენტმა ხელი ასწია.

— ბრძანეთ! — ნება დართო პროფესორმა.

— ქვირითებამდე რომ დავა ავადმყოფის აკვიატება, განკურნებულად თუ ჩაითვლება?

პროფესორი დუმდა.

● — სადა ხარ აქამდე?! — მიმართა ქალიშვილმა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, — მთელი ნახევარი საათია ჭიშკართან გელოდები, გავიყინე!

— ძალიან დავიგვიანე, არა?

— თანაც მეკითხები?! — იწყინა ქალიშვილმა.

— რა ვქნა, — თქვა სტუდენტმა, — პროფესორმა შემოვლაზე წამიყვანა; მაგრამ შენ ხომ იცი, ავადმყოფთან ყოფნა რომ არ შემიძლია... მიყურა, მიყურა პროფესორმა, ნახა რა დღეშიც ვიყავი და გამომიშვა.

— თუ ასე ცუდად ხდები, რაღად შეხვედი საექიმოზე?! — გაიკვირვა ქალიშვილმა.

— ვინ შემეკითხა! — წამოიძახა სტუდენტმა, — ჩემს მაგივრად დედაჩემმა გადაწყვიტა ყველაფერი!

ქალიშვილმა მოიწყინა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ვაჟმა.

— განა მაგას კითხვა უნდა?!

● სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტებს ლექცია დაუმთავრდათ. ახალგაზრდებმა ქუჩას სიხალისე შემატეს.

— მაშ, მივდივართ? — მიმართეს ერთ ელეგანტურად ჩაცმულ ვაჟს ქალიშვილებმა, — ხომ იცი, შეიძლება გადავიფიქროთ!

— ახლავე ყველაფერს მოვახერხებ! — თქვა ვაჟმა და ტელეფონის ჯიხურისკენ გაემართა.

ნომერი აკრიფა.

— მდივანი ბრძანდებით? ქალბატონო თამარ, მე გია ვარ, მამა მინდა. წავიდა? სად? კი მაგრამ, მამას მანქანა უნდა გამოეგზავნა... ეს რა უსინდისობაა!

ახალგაზრდამ ყურმილი გაბრაზებით დაკიდა და კბილებში გამოსცრა:

— მამა ჰქვია ახლა მაგას?! მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს!

— რას იზამ, — სიტყვა მოუჭრა თანაკურსელმა გოგონამ, — ადრე უნდა გეფიქრა და მშობლები ასე არ გაგეთამამებინა!

● ერთი სტუდენტი პათოლოგიური ანატომიის გამოცდიდან ატირებული გამოვიდა.

— ჩაგჭრეს?! — ჰკითხეს მეგობრებმა.

— ჩამჭრეს! — ძლივს ამოღერღა სტუდენტმა.

— რა გკითხეს?

— რევმატიზმული გრანულომები ვისიაო?

— რა უპასუხე?

— ავადმყოფისაა-მეთქი. სინამდვილეში კი აშოფისა ყოფილა.

— კიდევ რა გკითხეს?

— აშოფის გრანულომები სად არისო? მე კი არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი! — ისევ ატირდა სტუდენტი.

— ახია შენზე! — ცეცხლზე ნავთი გადაასხა მეგობარმა, — ნუთუ ვერ უნდა დაიხსომო, სად რას ინახავ?!

● — რა ქენი, დაწერე რამე?! — ჰკითხა გამოცდის დამთავრების შემდეგ ერთმა სტუდენტმა მეორეს.

— ვერაფერი! ძალიან რთული თემაა, იძულებული ვიყავი, ცარიელი ფურცელი ჩამებარებინა.

— ეგ რა გიქნია?! — იყვირა მეორემ, — მეც სუფთა ფურცელი დავუბრუნე პროფესორს. მისი ამბავი რომ ვიცი, იფიქრებს, ერთმანეთისგან გადაუწერიათო.

● პროფესორმა გამოცდაზე გაკვეთილი კუჭი უჩვენა სტუდენტს და სთხოვა, ეჩვენებინა 4X5 სანტიმეტრის ოდენობის წყლული.

სტუდენტმა სამჯერ დაადო თითი კუჭის ლორწოვანას სხვა ადგილს, წყლულს კი არა.

პროფესორმა შეაქო სტუდენტი და სამიანი დაუწერა.

ასისტენტები გაოცდნენ.

— არც ისეთი ადვილი საქმეა, რამდენჯერმე ვერ შენიშნო ამხელა წყლული! — აუხსნა პროფესორმა გამოცდაზე დამსწრე ასისტენტებს.

● პათოლოგიური ანატომიის პროფესორი, მიკროპრეპარატებზე სცდიდა სტუდენტებს. ყოველი პროტვინი ხუთ მიკროპრეპარატს შეიცავდა. ვინც ხუთივეს ამოიცნობდა, უმაღლეს ნიშანსაც ის იმსახურებდა, ვინც ოთხ მიკროპრეპარატზე შეჩერდებოდა, ოთხიანს ღებულობდა და ასე შემდეგ.

ერთმა სტუდენტმა პროტვინის გამოცვლა ითხოვა.

ნება დართეს.

მერე სტუდენტმა სხვა პროტვინი აიღო, მიკროპრეპარატები მიკროსკოპში გასინჯა და ამრეზით აპრიხა წარბები. მერე, ვითომც აქ არაფერიო, შეუმჩნევლად უკან დააბრუნა პროტვინი და ახალი მიიჩოჩა.

პროფესორი განგებ არიდებდა თვალს.

სტუდენტმა ისევ შეცვალა პროტვინი.

პროფესორმა მისი მატრიკული აიღო, სამიანი დაუწერა და გაისტუმრა.

ასისტენტები გაოცდნენ.

— სამიანი? მას ხომ სიტყვაც არ უთქვამს!

— სამაგიეროდ, იგი ეძებდა. დიახ, განა ვერ ნახეთ, რამდენჯერ გამოცვალა პროტვინი? ძიება კი მომავალი მეცნიერისთვის აუცილებელი თვისებაა. ხომ გაგიგიათ, ეძიებდე და ჰპოვებდე!









ანზორ მოსოლაძის ფოტ.

# კუს ტბა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაოქროვდა თბილისური შემოდგომა.

თანდათან იკლო სიცხემ.

მოიხელთებთ თავისუფალ დროს და შინ მოსაცდელად აღარ გიდგებათ გული.

დედაქალაქის ბაღები და პარკები, სკვერები და ხეივნები, სხვადასხვა სანახები და შემოგარენი ხალხით არის სავსე.

თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალიდან მხოლოდ ხუთიოდე წუთია საჭირო, რომ საბაგირო გზით კუს ტბაზე მოხვდეთ.

კუს ტბა!

წალკოტად ქცეული კუთხე. შემომაღლებული მთები და ცამდე აწვდილი სვანური კოშკი, დაცემული კარავი და ჩახლართული ბილიკები, მოლივლივე ტბა და მოსრიალე კატერები, საჩრდილობლიანი პლაჟი და მზეს მიფიცხებული მობანავეები.

აი აქეთ, დაცემულ მინდორზე, გახვითქული ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ, იქით — ბადმინტონს, გამაგრილებელი წყლების ჯიხურთან კი ახალგაზრდები შეკრებილან; წრე შეუკრავთ, მღერიან და მღერიან.

ჩუ! განმარტოებით მიყუჟულ თევზაობის მოყვარულებს ჟრიამული არ უყვართ. მიდით, მიესალმეთ, ხმადაბლა მიეცით რამდენიმე შეკითხვა და იქვე ჩამოჯექით.

თუ რომელიმეს ბედმა გაუღიმა, წყალში მოდგაფუნე თევზი ანკესზე წამოეგო და ხმელეთზე აფართხალდა, ნუღარ მოერიდებით, აუწიეთ ხმას, მიდით და შეაქეთ კმაყოფილი თევზაობის მოყვარული...

კიდევ რამდენიმე დღე და კუს ტბის მისასვლელთან ხარაჩომოყვარული...

ახალი და შერემონტებული ნაგებობები კიდევ უფრო დაამშვენებს, კიდევ უფრო კეთილმოწყობილს გახდის მშრომელთა გართობა-დასვენების ამ წარმტაც და საყვარელ კუთხეს.

**ნუნუ კუპრეიშვილი.**



# ძვირფასი ძაღლი

ანტონ ჩეხოვი

თარგმნა [illegible]



პორუჩიკი დუბოვი, კადრის არცთუ ისე ახალგაზრდა მოსამსახურე და ნებითგანწესებული კნაპსი ისხდნენ და სვამდნენ.

— ჩინებული ძაღლია, — ეუბნებოდა დუბოვი სტუმარს და თან მილკაზე უთითებდა, — შესანიშნავი ძაღლია, შესანიშნავი! არა, თქვენ დრუნჩზე დააკვირდით, დრუნჩზე! მარტო დრუნჩი რადა ღირს! ვინმე ძაღლის მოყვარულსა და მცოდნეს რომ ენახა, მარტო ამ დრუნჩში ულაპარაკოდ მომცემდა ორას მანეთს! არა გჯერათ? თუ არა გჯერათ, გამოდის, რომ თქვენ არაფერი გაგეგებათ...

— არა, რატომ არ გამეგება, მაგრამ...

— ეს ხომ სეტერია, წმინდა სისხლის ინგლისური სეტერი! გასაგიჟებელი ნაბული აქვს, ახლა მისი ალღო იკითხეთ... ახლა ყნოსვა! ღმერთო, რა ყნოსვა აქვს! იცით, მილკაში რამდენი მაქვს მიცემული, როცა ეგ ჯერ ლეკვი იყო? ასი მანეთი! ზღაპრული ძაღლია! ჩემი ეშმაკის ფეხი მილკა! ჩემი ტუტრუცანა, სულელი მილკა! მოდი აქეთ, აქეთ მოდიმეთქი, საძაგელო ქოფაკუნა!

დუბოვმა მილკა მიიზიდა და ყურის ძირში აკოცა, კაცს თვალზე ცრემლი მოადგა.

— არავის დავანებებ შენს თავს, არავის... ჩემო მზეთუნახავო... ჩემო ყაჩაღანავ. შენ ხომ გიყვარვარ მე, მილკა, ხომ გიყვარვარ?!... აბა, მოუსვი აქედან! — უყვირა უცებ პორუჩიკმა, — ჭუჭყიანი ფეხებით ზედ მუნდირზე არ მახტება! დიახ, კნაპს, ასორმოცდაათი მანეთი მივეცი ლეკვში, აბა! ღირდა, ალბათ, და იმიტომ მივეცი, თორემ ვინ ოხერი! ოღონდ, აი, რა მიკლავს გულს: სანადიროდ წუთითაც ვერ ვიცლი! ძაღლი კიდევ უსაქმოდ იღუპება, თავის ტალანტს ცოცხლად მარხავს... ამიტომაც ვყიდი. იყიდეთ, კნაპს, იყიდეთ! მთელი სიცოცხლე ჩემი მადლიერი იქნებით! არა, თუ იმდენი ფული არა გაქვთ, ნუ გენაღვლებათ, ნახევარ ფასში დაგითმობთ... ორმოცდაათად წაიყვანეთ... ჯანდაბას, გამძარცვეთ!

— არა, ჩემო კარგო... — ამოიოხრა კნაპსმა, — თქვენი მილკა რომ მამრი იყოს, მაშინ, იქნებ მეყიდა კიდეც, თორემ...

— მილკა მამრი არაოო? — გაოგნდა პორუჩიკი, — კნაპს, რა ამბავია შენს თავს? მილკა. მამრი არ არისო, ბრძანეთ? ხა-ხა აბა, ვინაა თქვენი აზრით? ძუკნაა? ხა-ხა!.. რა კაი ვინმეა!.. ხვადი და ძუკნა ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია!

— თქვენ ისე მელაპარაკებით, თითქოს ბრმა ვიყო ან ბავშვი... — გაიბუსა კნაპსი, — ძუკნაა, რასაკვირველია...

— ჩემო კარგო, იქნებ მეც მითხრათ, ქალი ხარო? ოხ, კნაპს, კნაპს! თქვენც იტყვით, ტექნიკური სასწავლებელი დავამთავრეო! არა, თქვენ ცდებით, ძვირფასო, ცდებით! მილკა წმინდა სისხლის ხვადია! ხვადსაც გააჩნია, ეგ ნებისმიერ ხვადს მთელ ათ ქულას მისცემს ფორას, თქვენა კიდევ... მამრი არ არისო... ხა-ხა...

— მომიტევეთ, მიხაილ ივანოვიჩ, მაგრამ თქვენ... მე თქვენ სულელი ხომ არ გგონივართ... მწყინს, მართალი გითხრათ...

— არ გინდათ და ნუ გინდათ, ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი... არ ყიდულობთ და ნუ ყიდულობთ... აბა, თქვენ რამეს შეგასმენთ კაცი! თქვენ მალე ამის კუდზეც იტყვით, ეგ კუდი კი არა, ფეხიაო... რაც არ გინდათ, ღმერთმა ნუ მოგცეთ. მე თქვენსკენ და თქვენ — ეშმაკისკენ! ვახრამეევ, კონიაკი მოიტანე!

დენშჩიკმა სუფრას კონიაკი შემოამატა. მეგობრებმა ჭიქები შეივსეს და ფიქრს მიეცნენ. ნახევარი საათი ისხდნენ ასე მდუმარენი.

— ძუკნაც რომ იყოს...— დაარღვია დუმილი პორუჩიკმა და პირქუშად მიაჩერდა ბოთლს, — ძუკნაც რომ იყოს, მერე რა... საკვირველი ამბავი თუ გინდა, ესაა! ძუკნა თქვენთვის უკეთესი არ იქნება?! ლეკვებს დაყრის და თითო ლეკვში ხომ ოცდახუთმანეთიანი განაღდებული გაქვთ... ყველა ხალისით იყიდის, ხელიდან გამოგტაცებენ. ვერაფრით ვერ გამიგია, ხვადი რატომ მოგწონთ მაინცადამაინც ასე ძალიან! ძუკნა ათასჯერ არა სჯობს?! მდედრები სიკეთის უფრო დამნახავი და შემთვისები არიან... არა, თუ თქვენ ასე ძალიან გეშინიათ მდედრობითი სქესისა, ოცდახუთ მანეთად მომირთმევია, ბატონო, მეტი რა ვქნა?!

— არ მინდა, გეთაყვა, არ მინდა... კაპიკსაც არ მოგცემთ. ჯერ ერთი, ძაღლი არც არაფერში მჭირდება, მეორეც, ფული სადა მაქვს.

დენშჩიკმა ტაფამწვარი ჩამოდგა. მეგობრები უხმოდ შეუდგნენ ჭამას და მალე ტაფა პირწმინდად მოასუფთავეს.

— კაი კაცი ხართ თქვენ, კნაპს, კაი, პატიოსანი კაცი! — თქვა, პორუჩიკმა და თან ტუჩი მოიწმინდა, — თქვენი ასე ხელცარიელად გაშვება მენანება, ეს ოხერი... იცით, რა? უფასოდ, მუქთად წაიყვანეთ ძაღლი!

— რომ წავიყვანო, სად ჯანდაბაში და რისთვის წავიყვანო? — ამოიხვნეშა კნაპსმა, — ვინა მყავს მაგის მომვლელი?

— აბა, არ ყოფილა საშველი! არ გინდა და ნუ გინდა! სად მიდიხარ? დაჯექი ცოტა ხანს!

კნაპსი ზლაზვნა-ზლაზვნით წამოდგა და შლაპას წაეტანა.

— უკვე დროა, ნახვამდის!.. — მთქნარებით შეეხმიანა კნაპსი.

— კარგით, ჰო, დამაცათ, გაგაცილებთ!

დუბოვმა და კნაპსმა ჩაიცვეს. ქუჩაში გავიდნენ. რამდენიმე მეტრი ხმაგაულებლად გაიარეს.

— არავინ გეგულებათ, ეს ძაღლი რომ წაიყვანოს? — სიჩუმე ახლაც პორუჩიკმა დაარღვია, — არავინ გყავთ ასეთი ნაცნობი? ძაღლი თქვენც ნახეთ, ჯიშიანია, მაგრამ... მე არაფერში, სრულიად არაფერში არ მჭირდება!

— აბა, რა ვიცი, ჩემო კარგო... რომელი ნაცნობი მე აქა მყავს?

კნაპსის ბინამდე ისე მივიდნენ, ხმა-კრინტი არ გაუღიათ. მხოლოდ, როცა კნაპსმა პორუჩიკს ხელი ჩამოართვა და კუტიკარი გამოაღო, დუბოვმა ერთი ჩაახველა და როგორღაც მტკიცე ხმით, გადაჭრით იკითხა:

— თქვენ ხომ არ იცით, აქაური ტყავისმხდელები ძაღლებს თუ ღებულობენ?

— ღებულობენ, ალბათ, დანამდვილებით ვერაფერს გეტყვი.

— აბა, ხვალ ვახრამეევს წავაყვანინებ იმათთან მილკას. გაატყავებენ და გაატყავონ, რა ვქნა ახლა... საძაგელი ძაღლია! საძაგელზე საძაგელი! ჯერ ხომ ოთახები გააბინძურა და გაჰბინძურა, გუშინ კიდევ სამზარეულოდან მთელი ხორცი დაითრია და შესანსლა იმ სამგლემ, იმან... ჯიში, ჯიშიო... ჯიშისა იმას რა ეტყობა, ჯიშიანი კი არა, ეგა ეზოს ძაღლისა და ღორის ნაჯვარია ნამდვილად! ღამე ნებისა!

— ნახვამდის! — დაემშვიდობა კნაპსი.

კუტიკარი მიიჯახუნეს და პორუჩიკი მარტო დარჩა.



16.408

ქ. [illegible] ს სახ. საჯ. [illegible]

# „შავლეგ, შენი თეთრი ჩოხა"...

თამაზ ნატროშვილი

„არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი", — ასე ახასიათებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე სახელგანთქმულ სარდალსა და გმირს შალვა ახალციხელს, რომელიც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლის მონაწილე იყო თამარის მეფობაში და ბრძოლის ველიდან ყოველთვის სახელიანი ბრუნდებოდა. შამქორის ომში, სასტიკად რომ დაამარცხეს მაჰმადიანთა ლაშქარი, სწორედ შალვა ახალციხელმა მიართვა თამარს ხალიფას ნაალაფარი დროშა, რომელსაც ავგაროზის დარად გამარჯვება უნდა მოეტანა მაჰმადიანთათვის, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ უშველა და თორმეტი ათას მეომარსა და თხუთმეტი ათას აქლემთან ერთად ქართველებს ჩაუვარდა ტყვედ. შალვა ახალციხელი წინამბრძოლი იყო ბასიანის ომში და აქტიურად მონაწილეობდა ყარსის აღებაში, ერთი სიტყვით, ყველგან ჩანდა, სადაც კი იფეთქებდა „ომი ფიცხელი და ძლიერი", სადაც ისრები თვრებოდა სისხლით და „ხრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთა".

ლაშა-გიორგის მეფობაშიც არ მოჰკიდებია ჟანგი ქართულ ხმალს. გამარჯვებათა წყება ბანგივით ადუნებდა გონებას, უძლეველად მიაჩნდათ თავი და ვერავინ ხვდებოდა, რომ კარზე იყო მომდგარი დასაწყისი დასასრულისა. საქართველოს „ოქროს ხანა" თავის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა...

ჯერ მონგოლები გამოჩნდნენ საქართველოს საზღვარზე და მერე — მონგოლთაგან დევნილი და დაჭრილი ვეფხვივით გამძვინვარებული ჯალალედინი.

სერიოზული გამოცდა ელოდა საქართველოს სამხედრო ძლიერებას...

1225 წელს ქართულმა მხედრობამ მძიმე მარცხი განიცადა ხვარაზმელებთან გარნისის ომში. წინამბრძოლი კვლავ შალვა ახალციხელი იყო. ცხენი მოუკლეს, ქვეითად განაგრძობდა ბრძოლას. მაგრამ გამარჯვების სასწორი ხვარაზმელთა მხარეს იხრებოდა, სასოწარკვეთილ ქართველთა რიგები თანდათან თხელდებოდა. შალვას ხელში შემოემტვრა ხმალი, ბრძოლით დაღლილი მიწაზე დაეცა და დალუპულთა შორის ჩაეძინა. სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილიო. ალბათ, დაჭრილი იყო და ხვარაზმელებს არ გასჭირვებიათ მისი დატყვევება.

ჟამთაღმწერელი მოგვითხრობს, რომ შეპყრობილი შალვა ჯალალედინს წარუდგინეს და „მოახსენეს სულტანსა ახოვნება და წყობათა შინა სიქველე მისი". ჯალალედინმა დიდი პატივით მიიღო სახელოვანი ტყვე და წყალობის ნიშნად აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქი უბოძა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ შალვა ახალციხელი „მოიკლა სულტნისა მიერ არა დატევებისათვის სჯულისა". ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება" იმასაც გადმოგვცემს, თუ როგორ ცდილობდა ჯალალედინი შალვას გამაჰმადიანებას, ხან უთვალავ წყალობას ჰპირდებოდა, ხანაც სატანჯველითა და სიკვდილით ემუქრებოდა, მაგრამ ქართველი სარდალი მტკიცედ იდგა ქრისტეს რჯულზე — მაჰმადიანთა ხელში პატივსა და დიდებას სიკვდილი არჩია.

ქართული წყაროს ინფორმაცია ერთგვარ წინააღმდეგობას შეიცავს. აბა, განსაჯეთ, თუკი შალვა ახალციხელმა უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, ფანატიკოსი სულთანი როგორღა უბოძებდა მაჰმადიანთა სამფლობელოებს? თუ მაინც უბოძა, ერთი წლის შემდეგ რაღას ერჩოდა? ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯერ წყალობით შეემკოთ ქრისტიანი ტყვე და მერე მისგან გამაჰმადიანება მოეთხოვათ.

ქართული წყარო შალვას სიკვდილით დასჯის მიზეზად ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებას თვლის და წმინდანად აცხადებს რჯულისთვის დაღუპულ სარდალს, მაგრამ უცხოური წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ შალვა ახალციხელს სამშობლოსათვის გაცილებით დიდი სამსახურის გაწევა ჰქონია გულში.

ხვარაზმელი ისტორიკოსი ნესევი ადასტურებს ჟამთაღმწერლის ცნობას, რომ შალვა ახალციხელს კარგად იცნობდნენ საქართველოს მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებში. აზერბაიჯანის ათაბეგ უზბეგის ერთ-ერთ მოხელეს უამბნია ნესევისათვის: როდესაც ელჩად ვიყავი საქართველოში, შალვა კარგად მექცეოდა, მაგრამ მის კვეხნას საზღვარი არა ჰქონდაო. ერთხელაც მითხრა, ნეტავი ალის, მართლმორწმუნეთა ამირას, ჩვენს დროში ეცხოვრა, ისეთ დღეს დავაყრიდი, გაჩენის წუთს დაიწყევლიდაო.

ნესევი არაფერს ამბობს შალვასთვის ქალაქთა ბოძებაზე და გვაუწყებს შემდეგს: როდესაც სულთანი საქართველოსკენ დაიძრა, მდინარე არაქსის პირას შეპყრობილ იქნა მსტოვარი, რომელსაც შალვას წერილები მიჰქონდა ქართველებთან. შალვა თურმე ამცნობდა თავისიანებს, ჯალალედინი საქართველოზე გამოლაშქრებას აპირებსო. სულთნის ბრძანებით, შალვა ახალციხელი სიკვდილით დასაჯეს.

შალვა ახალციხელის თავგადასავალს ტყვეობაში უფრო ვრცლად აღწერენ სპარსელი ისტორიკოსები ჯუვეინი და რაშიდ ედ-დინი:

როდესაც შებორკილი შალვა მიჰგვარეს ჯალალედინს, მან დამცინავად ჰკითხა ახოვან ქართველ სარდალს: სად არის შენი მკლავის ძალა, რომლითაც ემუქრებოდი მართლმორწმუნეთა ამირას, ნეტავი მოგსწრებოდი, გაჩვენებდი ჩემს ბასრ ხმალსა და ცეცხლისმფრქვეველ შუბსაო. დატყვევებულ რაინდს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი და მოკრძალებით მიუგო:

სულთანი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული და ჩვენ რას გავაწყობდითო.

შალვა ახალციხელს ისლამის აღიარება შესთავაზეს. ენამოსწრებულად მოუსაწყლებია თავი, ულირსი ვარო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული გამხდარა, გამაჰმადიანებულიყო. შემდეგ სულთანი თავრიზისკენ გაბრუნდა და თან იახლა დატყვევებული ქართველი დიდებულებიც. მოწყალე თვალით უყურებდა შალვას, ნდობა გამოუცხადა, თავისი ხვაშიადი აუწყა, საქართველო თქვენი შემწეობით უნდა დავიპყროო. სამფლობელოდ აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქი უბოძა. ამასობაში ხვარაზმელები ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ, მაგრამ შალვა და სხვა ქართველი დიდებულნი ატყუებდნენ სულთანს, ყოველგვარ ვალდებულებას კისრულობდნენ და ცრუ დაპირებებით აქეზებდნენო (ჯუვეინის სიტყვებით, „უნდოდათ მუხანათობის თოკით სიკვდილის ჭაში ჩაეჩხათ იგი"). სულთანმა გეზი აიღო საქართველოსკენ და შალვამ ქართველებს მოახლოებული საფრთხე აცნობა.

ამავე დროს ჯალალედინმა ელჩი გაგზავნა რუსუდანის კარზე, რომელიც მტკვრის ნაპირას გადაეყარა შალვასგან მომავალ მთვრალ მღვდელს და მისგან შემდეგი მოისმინა: „მალე ქართველები ლაშქარს დაძრავენ, რათა მარქაბის ველზე შემოვერტყათ სულტანს და სამაგიერო შურისგება მივუზღოთ". ხვარაზმელმა ელჩმა მყისვე მოკლა მღვდელი და სულთანთან გაეშურა, რათა ეუწყებინა შალვას მზაკვრობა (მთვრალი მღვდლის ეპიზოდი, შესაძლოა, მაჰმადიანი ისტორიკოსის ფანტაზიაა. უფრო დამაჯერებლად ჟღერს ნესევის ცნობა საქართველოში საიდუმლოდ გაგზავნილი შიკრიკის შეპყრობაზე).

ჯალალედინს როდესაც შალვას ღალატი მოახსენეს, მან თავშეკავებით განაცხადა, გამოვცადოთ და შევამოწმოთო. სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად სასწრაფოდ დაიბარა შალვა, და რჩევა ჰკითხა: საქართველოზე სალაშქროდ რომელი გზა ჯობს — ყარსისა თუ მარქაბის ხეობისაო? ქართველებმა მიუგეს: ყარსის გზაზე გამაგრებული ქალაქებია, იქ გავლა გაგვიჭირდება, თანაც მარქაბის გზა უფრო მოკლეა, თბილისამდე მალე მიგვიყვანსო. სულთანი მიხვდა ქართველთა თვალთმაქცობას, წამოდგა, ხმალი წელზე შემოჰკრა შალვას და შუაზე გაჰკვეთა. მერე ბრძანა, დანარჩენებიც ჯოჯოხეთში გაისტუმრეთო...

ეტყობა, შალვა ახალციხელი დარწმუნებული იყო, რომ სულთანი მის რჩევას ყურს ათხოვებდა და მარქაბის გზით წაიყვანდა ლაშქარს საქართველოსკენ. ამიტომ წინასწარ აცნობა საქართველოს სამეფო კარს ხვარაზმელთა მომავალი მარშრუტი. გამოთქმულია სხვაგვარი ვარაუდიც. თითქოსდა ჯალალედინი ადრევე მოეთათბირა შალვა ახალციხელს და მისი კარნახით არჩევანი მარქაბის გზაზე შეაჩერა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ეჭვმიუტანელი ფაქტი გახლავთ: აღმოსავლური წყაროების მიხედვით, ტყვედ ჩავარდნილი შალვა კვლავ ერთგული რჩებოდა მშობელი ქვეყნისა და კვლავ საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა. დაჟინებით ჩასძახოდა, ალბათ, დატყვევებულ სარდალს მაცდური ხმა: ბედმა ზურგი გაქციათ ქართველებს, ახლა ჯალალედინს ანებივრებს და სანამ დროა, შენც გამარჯვებულთა მხარეზე გადადი, შენც იგემე შენი წილი სიამეო. მაგრამ ამაოდ ჩასძახოდა, რადგან შალვა ახალციხელი ტყვეობას არ დაუბრმავებია, კარგად არჩევდა მტერსა და მოყვარეს. თამარის ლოცვა-კურთხევით საქართველოსთვის გარჯილი და ნაომარი სარდალი როგორ გაივლებდა გულში გადამთიელი სულთანის სამსახურს. საკუთარი ხმლით მოხვეჭილ სახელს როგორ გაცვლიდა მტრისაგან ნაწყალობევ პატივზე. დიახ, გამაჰმადიანდა. ოღონდ პირადი ანგარება არ ამოძრავებდა, თავის მოძმეთა მოსასპობად და დასათრგუნად როდი დაჰყვა გამარჯვებულ სულთნის ნებას. მისი გამაჰმადიანება მხოლოდ და მხოლოდ ხერხი იყო ჯალალედინისათვის თვალის ასახვევად.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართველი მემატიანე დუმს შალვას თავდადებაზე. არც მის გულისნადებს გვამცნობს და არც იმ ბრმა შემთხვევას, სარდლის ჩანაფიქრი რომ ჩაუფუშავს. როგორც ჩანს, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი მემატიანის თვალში უფრო მიმზიდველად გამოიყურება ქრისტიანობისთვის წამებული შალვა ახალციხელი, ვიდრე — თუნდაც სამშობლოს გადასარჩენად გამაჰმადიანებული.

სინამდვილეში შალვა ახალციხელი გმირია თავისი სიცოცხლითაც და სიკვდილითაც! თავგანწირული გმირობა უფრო მოსავს წმინდანის შარავანდედით, ვიდრე რჯულის პასიური ერთგულება. ეკლესიამ წმინდანად შერაცხა შალვა, ხალხმა — გმირად. როგორც ამბობენ, ხმა ერისა და ხმა ღვთისაო...

# გიწვევთ და გელით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ახლახან მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებაც დიდად შეუწყობს ხელს ჟურნალ „დროშის“ მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ამ გადაწყვეტილებათა მიხედვით გამოიცემა ჟურნალ „დროშის“ ბიბლიოთეკა — წელიწადში 12 ნომერი. ავტორები იქნებიან ჟურნალის აქტიური თანამშრომლები, რომლებიც თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს „დროშის“ ფურცლებზე გამოაქვეყნებენ. ჟურნალისათვის გამოგვეყო მაღალი ხარისხის ოფსეტური ქაღალდი; რედაქციაში შეიქმნა მეცნიერებისა და სკოლის განყოფილება, რომელსაც დაევალა რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრებისა და სასკოლო მუშაობის ფართოდ გაშუქება; საშუალება მოგვეცა საქართველოს ყველა რაიონში კონკრეტული შემოქმედებითი დავალებით მივავლინოთ გამოჩენილი მწერლები, ჟურნალისტები, ფოტოჟურნალისტები.

ჩვენი თხოვნით მათთან ერთად ქალაქებსა და სოფლებში შემოქმედებითი მივლინებით გაემგზავრებიან ფუნჯის ოსტატები. ისინი შექმნიან შრომის გმირთა პორტრეტებს, მშობლიური კუთხის პეიზაჟებს. ეს, რა თქმა უნდა, გაამდიდრებს, გაალამაზებს ჟურნალსაც და ჩვენი ძვირფასი მეგობრების — მხატვრების შემოქმედებასაც.

მაღალმხატვრული მოთხრობებისა და ფოტონაწარმოებების შექმნის მიზნით ჩატარდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი დახურული ლიტერატურული და ფოტო კონკურსები.

**ლიტერატურულ კონკურსში** წარმოდგენილ მასალებში უნდა აისახოს ჩვენი თანამედროვეობა, ხალხთა ლენინური მეგობრობა, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომა და ცხოვრება, მათი მისწრაფებები, სურვილები...

საკონკურსოდ მიიღება მოთხრობები (მათ შორის საბავშვო ნაწარმოებები), მხატვრული ნარკვევები, სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები...

მოთხრობა და მხატვრული ნარკვევი მანქანაზე გადაბეჭდილ 12 გვერდს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო სატირულ-იუმორისტული ნაწარმოები — 6 გვერდს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია:

**სამი პირველი პრემია**, თითოეული — 600 მანეთი.

**ოთხი მეორე პრემია**, თითოეული — 400 მანეთი.

**ხუთი მესამე პრემია**, თითოეული — 300 მანეთი.

მოწონებული ნაწარმოებებისთვის დავაწესეთ აგრეთვე წამახალისებელი ფულადი ჯილდოები.

ლიტერატურული კონკურსის მასალები (ორი გადაბეჭდილი ეგზემპლარი) რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს დევიზიანი კონვერტით. იმავე დევიზით მეორე კონვერტში უნდა ეწეროს ავტორის ვინაობა და მისამართი. საკონკურსო მასალების მიღების უკანასკნელი ვადა — 1980 წლის 15 დეკემბერი.

პრემირებულ და მოწონებულ ნაწარმოებებს გამოვაქვეყნებთ „დროშის“ ფურცლებზე.

**ფოტოკონკურსის** ძირითადი თემაა მშრომელი ადამიანი, რესპუბლიკის წარმატებანი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტში; მშობლიური მხარის პეიზაჟები, ფოტოეტიუდები, ჟანრული ფოტოები, ფოტორეპორტაჟი...

საკონკურსოდ მიიღება როგორც ცალკეული ფერადი და შავ-თეთრი ფოტოები, აგრეთვე ფოტომოთხრობები (პრიალა ქაღალდი, ზომა 30X40, ფერადი ფოტოსლაიდები ზომით არა უმცირეს 6X6).

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია:

**ორი პირველი პრემია**, თითოეული — 500 მანეთი.

**სამი მეორე პრემია**, თითოეული — 300 მანეთი.

**ოთხი მესამე პრემია**, თითოეული — 200 მანეთი.

დავაწესეთ აგრეთვე წამახალისებელი ჯილდოები.

ფოტოკონკურსის მასალები (ორი ეგზემპლარი) რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს დევიზიანი კონვერტით. იმავე დევიზით მეორე კონვერტში უნდა ეწეროს ავტორის ვინაობა და მისამართი.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. საკონკურსო მასალების მიღების უკანასკნელი ვადა — 1980 წლის 30 ნოემბერი.

პრემირებულ და მოწონებულ ფოტომასალებს გამოვაქვეყნებთ ჟურნალის ფურცლებზე...

მხატვართათვის დაწესებულია ჟურნალ „დროშის“ სპეციალური პრემიები და ფულადი ჯილდოები.

„დროშის“ პრემიებით დაჯილდოვდებიან აგრეთვე წლის მანძილზე ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ყველა სახის საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორები.

იმისათვის რომ „დროშა“ გავხადოთ კიდევ უფრო საინტერესო, მებრძოლი ჟურნალი, აუცილებელია გავითვალისწინოთ მკითხველთა სურვილები, რჩევა-დარიგებანი, წინადადებები, კრიტიკული შენიშვნები ამასთან დაკავშირებით ვთხოვთ ყველა მკითხველს მოგვაწოდოს თავისი მოსაზრებანი, რედაქციამ რა კონკრეტულ თემებს მიაქციოს მეტი ყურადღება, რასაჭირბოროტო საკითხები გახადოს მსჯელობის საგნად.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დიდი მადლობის გრძნობით მიიღებს და ყურადღებით განიხილავს ყოველ საქმიან შენიშვნას.

ჩვენი სახელოვანი მწერლების, მეცნიერების, მხატვრების, ჟურნალისტების, პარტიული და საბჭოთა მოღვაწეების აქტიური მონაწილეობით, თავისი მრავალათასიანი მკითხველის დახმარებით, ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი კიდევ უფრო უკეთ წარმართავს მუშაობას, ჩვენი ჟურნალი მუდამ იქნება საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი მებრძოლი, ერთგული თანაშემწე, რესპუბლიკის ცხოვრების მართალი და პირუთვნელი მემატიანე.



მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტი თამარ თენეიშვილი.

ედუარდ კესოვის ფოტო.

**იუმორი**

# ვინ იცის?

**თეიმურაზ ბრძოლიძე**

ნია რომ გავიცანი, მზე იცინოდა და მის წითელ კაბაზე გაურკვეველი ფერის ნინწკლებს ათამაშებდა.

ქორწილის მეორე დღეს ნიამ საქორწინო კაბა გაიხადა, ნაფტალინში ჩადო, კარადაში შეინახა, მომიბრუნდა და მითხრა:

— თემურ, ჩვენ პატარები რომ არა ვართ, უკვე საქმით დავამტკიცეთ. თუ დამეთანხმები, მინდა რომ საკუთარ ბიუჯეტზე ვიცხოვროთ, მამაშენის ოთხოთახიანი ბინისა და ჩვენების ორსართულიანი სახლის გარეშე.

რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღე მისი წინადადება. მაკლერებში გავქანდი და ვიდრე „ვრემია“ დაიწყებოდა, პალტოების ჩამოსაკიდებელი ლურსმნის ჩაჭედებაც მოვასწარი ნაქირავები ერთოთახიანი ბინის შესასვლელში.

— თემურ, ჩვენ ხომ შეგნებული ხალხი ვართ, ვინმემ არ უნდა თქვას, წავიდნენ და მშობლები ბედის ანაბარა მიატოვესო. კარგი იქნება, ისინიც თუ ჩვენთან იცხოვრებენ! — მითხრა ორი დღის შემდეგ.

თქმა და გაქცევა ერთი იყო. დავავლე ხელი სიდედრ-სიმამრს და მათი პროტესტის მიუხედავად, ჩვენი ნაქირავები ბინისაკენ გამოვაქანე. კარები მამაჩემმა გამილო — ნიას ზომაზე მეტი ოპერატიულობა გამოეჩინა და დედაჩემი უკვე სამზარეულოში ტრიალებდა.

სადილობის დროს ნიას მივჩერებოდი — მოდი და ნუ დააფასებ ასეთ ცოლს — ისე ნაზად ექცეოდა დედაჩემს, თითქოს მისი საშტატო ერთეულით გათვალისწინებული დედამთილი არ ყოფილიყოს.

შეთავაზებულ წინადადებაზე — ყველას ერთად გვეცხოვრა — მამაჩემმა მოკრძალებით სცადა უარის თქმა, შეწუხდებითო; იმდენი გაბედა, თავისთან მიგვიპატიჟა, გამოვყრუვდით მარტონი იმხელა ბინაშიო.

ნიამ დამაჯერებლად ახსნა ახალგაზრდების როლი მშობლების აღზრდის საქმეში საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რომ მშობლებმა პირნათლად მოიხადეს ვალი შვილების წინაშე, ახლა კი, ჯერი შვილებზეა და მათ (მშობლებმა) ჩვენ (შვილებს) უნდა მოგვცენ სამაგიეროს გადახდის დრო და საშუალება. არგუმენტი მტკიცედ ჟღერდა და უფროსებმაც თეთრი ალამი აღმართეს.

ტექნიკური მხარეც მალე მოვაგვარეთ. უფროსებისთვის ოთახში ოთხი საწოლი დავდგი, ერთმანეთისგან დაახლოებით ისეთი ინტერვალით, საბავშვო ბაღებში რომაა სანიტარულ-ჰიგიენური შინაგანაწესით გათვალისწინებული. ჩემი გაანგარიშებით მშობლები თუ გეგმაზომიერად და რიტმის დაურღვევლად ისუნთქებდნენ, ღამის განმავლობაში ჟანგბადის მარაგი დილამდე (ფანჯრის გაღებამდე) სავსებით საკმარისი ექნებოდათ.

მე და ნია სამზარეულოში მაცივრის გვერდით ტახტზე მოვთავსდით. იმ ღამეს პირველად ვიგრძენი ის სიამოვნება, რასაც მაცივრის გვერდით წოლა ანიჭებს ადამიანს — ხარ შენთვის ტახტზე წამოგორებული, მოგწყურდება, აუდგომლად გააღებ მაცივარს და სახეში შემოგანათებს ჩამორთმეული „ბორჯომი“.

ჰოდა, ვცხოვრობთ, ასე. მართალია, ხანდახან ტუალეტის რიგში გვიწევს დგომა, უფროსებსაც ჩვეულებრივზე მეტი ბუზღუნი დასჩემდათ, სამაგიეროდ, მე და ჩემი მეუღლის პრესტიჟი ამაღლდა მეზობელ-ნათესავ-თანამშრომელ-ამხანაგ-მეგობარ-ახალგაცნობილთა თვალში. მიუხედავად ჩვენი ახალგაზრდობისა, უკვე მშობლების პატივისმცემლებად გვაღიარეს.

— რა კარგი იქნებოდა, დედმამიშვილი მყავდეს, არსად არ გავუშვებდი, აქ ვაცხოვრებდი და ჩვენი საერთო ბედნიერების ცქერით დავატკბობდი! — ინატრა ერთხელ ნიამ.

ეს ისე დანანებით თქვა, ტირილის გუნებაზე დავდექი. არა, მე მისი ნაღვლიანი თვალების ცქერა არ ძალმიძს, საჭიროა დახმარება, ნუთუ ჩვენი საზოგადოების მჩქეფარე ცხოვრების ისეთი აქტიური წევრი, როგორიც ნიაა, იმის ღირსი არ არის, რომ დედმამიშვილი ჰყავდეს?! ჩემი აზრი სიდედრსა და სიმამრს გავუზიარე და ამ ნაკლის გამოსასწორებლად ქმედით ღონისძიებათა გატარება ვთხოვე.

— შენ დაილუპე საცხა! — ხუმრობა ეგონა სიდედრს.

სულაც არ ვაპირებდი მისი სურვილის შესრულებას და ერთშვილიანობას გადმონაშთი ვუწოდე.

შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე და ჩემს თავისუფალ მსმენელებს გადავხედე — სიდედრი სადღაც უსასრულობაში იყურებოდა, სიმამრის თვალებში კი ბეკინა სამანიშვილისეული გაელვება შევნიშნე...

...ცოლის ძმას ვოვუჩა დავარქვით. ბევრს არ ტირის, ის კია. დღეში ოცჯერ გვაცვლევინებს საცვლებს — აქედანვე ეტყობა ჩამცმელი ბიჭი იქნება!

მშობელიც კარგია და დედმამიშვილიც, მაგრამ მათ ყველას თავისი ადგილი აქვთ და ვერასოდეს კატის ან ძაღლის ადგილს ვერ დაიკავებენ. შეგნებულმა ადამიანებმა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან დაამყარეს მეგობრული ურთიერთობა შედარებით შეუგნებელ ცხოველთან. ძაღლი და კატა არ მინდა, მაგრამ კარგი იქნება, პატარა ნიანგს თუ ვიშოვით და ჩვენს ჭკუაზე გამოვზრდით!

მაშინვე ჩემი ბავშვობის მეგობარი ტუხია გამახსენდა — მოწოდებით ცხოველთა მეგობარი, უნივერსიტეტს თავი რომ დაანება და ზოოპარკში მოეწყო უფროსი მომვლელის თანაშემწედ. ჩემზე იყოსო — მითხრა, ოღონდ მწვანე იქნებაო...

სახლში მიყვანილი მინინიანგი რომ დაინახა, ნიას სიხარულისაგან სუნთქვა შეეკრა და მაშინვე მისი აღზრდა დაიწყო. სახელად ტოტო დაარქვა და ბინად ტახტისქვეშეთი მოუჩინა.

გადიოდა დრო... ტოტომ რძეს მალე მიანება თავი და უფრო ვაჟკაცურ საჭმელზე გადავიდა. მენიუდან განსაკუთრებით ჩემი ფეხსაცმელი მოსწონდა, ისე არც წინდებზე და შარვლებზე ამბობდა უარს. ბოლოს საზამთრო პალტო რომ შემიჭამა, ნიას აღტაცებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

ნაცნობი მაკლერის წყალობით ორსართულიანი სახლი დავიქირავეთ. ზემო სართულზე მე, ნია, ჩვენი ორი ბავშვი, ჩემი მშობლები, სიდედრ-სიმამრი, ვოვუჩა თავისი ველოსიპედითურთ, ნიას სამი სიყრმის დაქალი და ჩემი ერთი ბიძაშვილი მოვთავსდით, პირველ სართულზე პერსონალური ოთახი ტოტოს გამოვუყავით, დანარჩენები კი გაბარიტებისა და დამსახურების მიხედვით მახრჩობელა ბოას, ანტილოპა გნუს, იაპონურ დათვს, აფრიკულ სპილოსა და ავსტრალიურ კენგურუს გავუნაწილე.

...მოსამართლეს გაოცებისაგან ყბა გვერდზე მოექცა, როცა ჩვენი განქორწინების საქმეს იხილავდა. ბოლოს ნიას მოუნდა, რომ მე დღეში ორჯერ — დილით და საღამოს აუცილებლად ჩაი დავლიო. სასმელის ამ სახეობას უდიდეს პატივს ვცემ და მისი ასეთი სურვილიც არავის გაუკვირდებოდა, ერთი უცნაური გარემოება რომ არ არსებობდეს — საქმე იმაშია, რომ ნიას სურვილით მე ჩაი მარილით უნდა მესვა. მისი აზრით, მარილიანი ჩაი ჯანმრთელობისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე შაქრიანი. ერთი თვე ვეცადე, მაგრამ ვერ მივეჩვიე, რითაც ნიას გულს ვუკლავდი. არა, მე მისი ცრემლიანი თვალების ცქერა არ შემიძლია, წავალ, გავცილდები, ჯანდაბას ჩემი თავი, გავიჭირვებ და დროებით მამაჩემის ოთხოთახიან ბინაში ვიცხოვრებ, დასჯილი, გამოყრუებული და ყველასაგან გარიყული. იქნებ, მარტო ცხოვრებამ შემაჩვიოს მარილიანი ჩაის სმას და ნიაც გავახარო, ვინ იცის...

გარეკანის პირველ გვერდზე: ზემოთ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი შენობა. ქვემოთ: სტუდენტი გოგონა. სხოლისაკენ. ივანე დვალისა და ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

გადაეცა წარმოებას 18.08.80, ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.09.80. უე 00701. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2. ტირაჟი 57000. შეკვ. 2292. ფასი 30 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ.პ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография Издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, пр. Руставели, 42.

**რედაქციის მისამართი**
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა





## ქორეოგრაფიულ სტუდიაში

შესვენებისას

ცეკვის გაკვეთილზე

პედაგოგი იამზე დოლაბერიძე
აღსაზრდელებთან.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო

ინდექსი 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქ. გორი — გამარჯვების ძეგლი.

მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი,
არქიტექტორი ვახტანგ დავითაია

ივანე დვალის ფოტო



მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი
არქიტექტორი ვახტანგ დავითაია
სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი ქალაქ ფოთში.